გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№14 (1556) 5 11 მაისი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

„ახალციხეში მედდა იმიტომ გარდაიცვალა, რომ...“

რას სთავაზობს გიორგი ფხაკაძე ქართულ კლინიკებს

„ეს მხოლოდ ხელოვნება არაა, ეს უნიკალური არტთერაპიაა!“

წელს, ნიუ იორკის სახელოვნებო ბაზრობაზე, საქართველოს ტიხრული მინანქრის ოსტატი ციალა გიგაური წარადგენს

გაქცეული ასლანიდან დაჭერილ მელიამდე

აჭარის რევოლუციის 17-წლიანი საიდუმლო

რატომ ვერ ხედავენ ოპონენტები თავდაცვის სამინისტროს მზარდ ბიუჯეტს

ამირან სალუქვაძე: „ძალიან უსინდისო უნდა იყო, რომ ეს მასშტაბები ვერ დაინახო!“

„დანის ერთი დარტყმით მოვკალი“

მკვლელობა გავლენიანი ადამიანების კორპუსში და მკვლელის აღიარებითი ჩვენება

18 წლის გოგო, დეიდის ქმარმა ჯერ გააუპატიურა, შემდეგ კი მოკლა

დიდი ოჯახური საიდუმლო, რომელსაც ფარდა 26 წლის შემდეგ აეხადა

ქუთაისში „კანონიერი ქურდის“ სახლი გაძარცვეს

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ფინანსური მაქინაციები და დარღვევები „მთის კურორტების განვითარების კომპანიაში“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ახალი სკანდალური დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური „მთის კურორტების განვითარების კომპანიით“ დაინტერესდა. აუდიტის ანგარიში, რომელიც უწყებამ გამოაქვეყნა, 2018-2019 წლებს მოიცავს. აუდიტით გაირკვა, რომ 100%-ით სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ შპს-ს განვითარების სტრატეგია არ გააჩნდა და ბიზნესგეგმაც კი კანონდარღვევით ჰქონდა შედგენილი. მეტიც, სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ დირექტორი და თანამშრომლები, როგორც ხელფასს, ასევე, პრემია-დანამატებსაც დაუსაბუთებლად იღებდნენ, თანაც საკმაოდ დიდი რაოდენობით.

ვიდრე ამ დარღვევებს დეტალურად განვიხილავთ, შეგახსენებთ, რომ შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“ სახელმწიფო საწარმოა. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი სახელმწიფოა – პარტნიორის უფლებამოსილებებს ახორციელებს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“. კომპანიის საქმიანობის მიზნებია: სამთო-სათხილამურო კურორტების მოვლა-პატრონობა, ინფრასტრუქტურის მოწყობა და განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო-ტექნოლოგიური, მარკეტინგული და სხვა მიმართულებებით უზრუნველყოფა, კურორტების ტურისტული პოტენციალის ამაღლება და ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა.

2016 წლის დეკემბერში, კომპანიას მართვის უფლებით გადაეცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მფლობელობაში არსებული შპს „თეთნულდი დეველოპმენტის“ 100%-იანი წილი და 2018 წლის ბოლოს, შპს „თეთნულდი დეველოპმენტი“, „მთის კურორტების განვითარების კომპანიას“ შეუერთდა. შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება, ორგანიზაციას კი დირექტორი ხელმძღვანელობს. აუდიტის პერიოდში, კომპანია მართავდა ბაკურიანის, გუდაურის, გოდერძის, ჰაწვალისა და თეთნულდის სამთო-სათხილამურო კურორტებს.

კომპანიას განვითარების სტრატეგია არ აქვს

სახელმწიფო აუდიტით გაირკვა, რომ 2018-2019 წლებში, „მთის კურორტების განვითარების კომპანიას“ პარტნიორთან შეთანხმებული და ოფიციალურად დამტკიცებული სტრატეგიის დოკუმენტი, ასევე, მის განსახორციელებლად საჭირო სამოქმედო გეგმა არ გააჩნდა. შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტირებმა ვერ დაადგინეს, შეესაბამებოდა თუ არა კომპანიის მიერ განხორციელებული საქმიანობა მისსავე სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს. მეტიც, კომპანიის სტრატეგიის შესამუშავებელი და ქმედითი აქტივობები აუდიტის პერიოდშიც კი არ დადასტურებულა.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ 2018-2019 წლების ბიზნესგეგმები კანონმდებლობისა და კომპანიის წესდების შესაბამისად დამტკიცებული არ ყოფილა.

როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფოს სახით, შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიას პარტნიორობას უწევს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. თავის მხრივ, ეს ორივე კომპანია ანუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაცა და საჯარო სამართლის იურიდიული პირიც, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქოლგის ქვეშ ფუნქციონირებს. გარდა იმისა, რომ „მთის კურორტების განვითარების კომპანიას“ არ გააჩნია სამოქმედო სტრატეგია და ბიზნესგეგმაც კი კანონდარღვევითაა შედგენილი, სახელმწიფო აუდიტით ისიც გაირკვა, რომ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მიერ შედგენილი 2018 და 2019 წლების წლიური ანგარიშებიდან, მისი, როგორც აქტიური პარტნიორის როლი არ იკვეთება.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, კომპანიის წესდების ფორმულირება, მისი პარტნიორის უფლებამოსილების კონტექსტში, ნაწილობრივ არ შეესაბამება სააგენტოს დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებას. შესაბამისად, კომპანიის ზოგიერთ მიმართვაზე, სააგენტომ არასრულფასოვნად განახორციელა სახელმწიფო საწარმოს პარტნიორისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებები.

დარღვევები ბარათების აღრიცხვა-ფასწარმოქმნაში

საკურორტო სეზონისთვის საჭირო ბარათებს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ თბილისის ოფისში აწარმოებენ. მყიდველის შეკვეთიდან გამომდინარე, ბარათზე შესაბამისი ინფორმაცია შეჰყავთ, რის შემდეგაც იგი ბილეთის/აბონემენტის სახით რეალიზდება. ამ ბარათებს შეკვეთით ამზადებს ავსტრიული კომპანია „სკიდატა“. ამ ბარათებს, გნებავთ, ბილეთებს იღებენ კომპანიის თბილისის ოფისში, საიდანაც ბაკურიანის, გუდაურის, გოდერძის, ჰაწვალისა და თეთნულდის სამთო-სათხილამურო კურორტებზე ანაწილებენ.

„აუდიტის პერიოდში, კომპანიაში ბარათების მიღება განხორციელდა 2018-2019 წლებისა და 2019-2020 წლების სამთო-სათხილამურო სეზონებისთვის, ასევე, 2018 წლის ზაფხულის სეზონისთვის. ბარათების მიღებასა და დასაწყობებაზე პასუხისმგებელია ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სამსახური, ხოლო მისგან ბარათების მიღებასა და კურორტებზე მოლარეებისთვის გადაცემაზე – საფინანსო სამსახური“.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ კურორტ გუდაურის მოლარეებს ეს ბარათები დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმების გარეშე გადასცეს. ამასთან, არ ჩაატარეს ამ ბარათების ინვენტარიზაცია (აღწერა). არასათანადო კონტროლის მექანიზმების პირობებში კი, კომპანიაში ბარათების აღრიცხვის პროცესი ნაკლებგამჭვირვალეა.

ახლა ვნახოთ, რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა ამ ბარათი-ბილეთების ფასწარმოქმნაში. გაირკვა, რომ კომპანიაში არ არსებობს მომსახურების ფასების გაანგარიშების პოლიტიკა და მეთოდოლოგია, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა სოციალური, ეკონომიკური და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები.

დარღვევები გამოვლინდა ბილეთების, იგივე აბონემენტების უფასოდ გაცემის პროცესშიც. კერძოდ, აბონემენტების უფასოდ ან/და შეღავათიანი ფასით გაცემის შესახებ, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესები არის ზოგადი და იძლევა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ამასთან, გადაწყვეტილებებში არ ფიქსირდება უფასოდ გასაცემი აბონემენტების რაოდენობა. აღნიშნული რაოდენობები დგინდება ჩუქების ხელშეკრულებების ხელმომწერი პირების მიერ. ზოგ შემთხვევაში, ჩუქების ხელშეკრულებები არ არის გაფორმებული და გაურკვეველია გადასაცემი აბონემენტების რაოდენობის დამდგენ პირთა ვინაობა.

დარღვევები შრომის ანაზღაურებაში

2018 წლის ბოლოს, „მთის კურორტების განვითარების კომპანიაში“ დასაქმებული იყო 440 თანამშრომელი, 2019 წლის ბოლოს – 601. 2018-2019 წლებში, კომპანიამ შრომის ანაზღაურებაზე 16 331 387 ლარი დახარჯა. რაც შეეხება დირექტორის დანიშვნა-გამოწვევას, ასევე, მასთან ხელშეკრულებების დადება-შეწყვეტას, ამ გადაწყვეტილებას პარტნიორთა კრება იღებს. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს პარტნიორის უფლებამოსილებებს „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ ახორციელებს. შრომის ანაზღაურების ოდენობა, შრომის ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენს და მის ოდენობასაც სააგენტო განსაზღვრავს. ახლა ვნახოთ, რა დარღვევა გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა ამ ნაწილში.

„სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით, კომპანიის დირექტორის შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 2 900 ლარის ოდენობით. კომპანიის დირექტორმა, თავისივე ბრძანების საფუძველზე, საკუთარი შრომის ანაზღაურება გაზარდა 7 500 ლარამდე. აღნიშნული ოდენობა ძალაში იყო სააგენტოს მიერ, ახალი დირექტორის დანიშვნამდე, რომლის შრომის ანაზღაურებად ისევ 2 900 ლარი განსაზღვრეს. დირექტორის ბრძანება შრომის ანაზღაურების 7 500 ლარამდე გაზრდის თაობაზე, გამოცემულია არაუფლებამოსილი პირის მიერ, რამდენადაც ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება სააგენტოს კომპეტენცია იყო. კომპანიის განმარტებით, სააგენტოს რეგულარულად ეგზავნება საშტატო განრიგი და აქედან გამომდინარე, სააგენტო ინფორმირებული იყო დირექტორის ხელფასის მატებასთან დაკავშირებით“.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, არაუფლებამოსილი პირის მიერ, შრომის ანაზღაურების ზრდასთან დაკავშირებული ბრძანების გამოცემით, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები დაირღვა, რის შედეგადაც, 2016 წლის ნოემბრიდან 2018 წლის ნოემბრამდე, კომპანიის ყოფილი დირექტორის ანაზღაურება გაიზარდა უსაფუძვლოდ – 109 021 ლარის ოდენობით.

დარღვევები გამოვლინდა პრემიების გაცემის პროცესშიც. შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიაში“, პრემია გაიცემა შესრულებული სამუშაოს შეფასების ან/და დასაბუთების საფუძველზე. თანამშრომელთა წახალისების შესახებ, რეკომენდაციას ამზადებს კომპანიის შესაბამისი სამსახური და გადაწყვეტილება დირექტორის ბრძანებით ფორმდება. პრემია არის შრომის ანაზღაურების კომპონენტი და კომპანიის დირექტორისთვის მისი ოდენობის განსაზღვრა სააგენტოს კომპეტენციაა. რა თქმა უნდა, სახელმწიფო აუდიტორებმა სერიოზული დარღვევები აქაც გამოავლინეს.

„2018-2019 წლებში, პრემირებასთან დაკავშირებული ბრძანებები მომზადებულია მოხსენებითი ბარათების საფუძველზე, სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო და წარმატებული შესრულებისთვის. სხვა სახის კონკრეტული დასაბუთება კომპანიამ ვერ წარმოადგინა, ზოგიერთ შემთხვევაში კი, მოხსენებითი ბარათებიც არ არის წარმოდგენილი. კერძოდ, შერჩეული 24 ბრძანებიდან, კომპანიამ მხოლოდ 16 შემთხვევაში წარმოადგინა მოხსენებითი ბარათი, თუმცა სათანადო დასაბუთების გარეშე. აქედან რამდენიმე შემთხვევაში, დოკუმენტური დადასტურების გარეშეა მითითებული ზეგანაკვეთური სამუშაოები“.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, 2018-2019 წლებში, პრემიები გაცემულია კომპანიის დირექტორებზე, მაგრამ სააგენტოს გადაწყვეტილების გარეშე, მხოლოდ კომპანიის დირექტორისა და დირექტორის მოადგილის ბრძანებების საფუძველზე. ამ ერთი წლის განმავლობაში, კომპანიის დირექტორმა პრემია შვიდჯერ აიღო, რაც ჯამში, 43 875 ლარი იყო.

რაც შეეხება დანამატებს, „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ შინაგანაწესის მიხედვით, დასაქმებულზე სახელფასო დანამატი გაიცემა უშუალო ხელმძღვანელის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე, კომპანიის დირექტორის ბრძანებით. სახელმწიფო აუდიტის შედეგად კი გაირკვა, რომ კომპანიაში დანამატები არ გაიცემა სათანადო დასაბუთების საფუძველზე, რაც შესაძლოა, უსაფუძვლოდ ზრდიდეს კომპანიის ხარჯებს და ხელს უწყობდეს კომპანიის სახსრების გაუმჭვირვალე, არაეკონომიურ განკარგვას.

გაქცეული ასლანიდან დაჭერილ მელიამდე

ნინო დოლიძე

17 წლის წინ, 2004 წლის 6 მაისს, საქართველოში, პოლიტიკური ტემპერატურა, დღევანდელის მსგავსად, 100 გრადუსს აღწევდა. მაშინ მოვლენების ეპიცენტრი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, კერძოდ, ჯერ ჩოლოქის ხიდი და შემდეგ, ბათუმი იყო. დიახ, ასლან აბაშიძის მმართველობა საათებს ითვლიდა, ყველაფერი ეს, ბოლოს იმით დამთავრდება, რომ ქვეყნის იმდროინდელი მმართველი, მიხეილ სააკაშვილი შავი ზღვის მლაშე წყლით პირს დაიბანს და ამაყად იტყვის: „ასლანი გაიაქცა! აჭარა თვისუფალია!“ იმ დროს მიშას რეიტინგი, როგორც იტყვიან, ცას წვდებოდა. მართალია, დღეს სხვა მოცემულობაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ექსპრეზიდენტი, უფრო სწორად, მისი პარტია პოლიტიკურ დღის წესრიგს მაინც ქმნის. მხედველობაში ნიკა მელიას გარშემო განვითარებული მოვლენები გვაქვს – პატიმრობაში მყოფი ენმ-ს თავმჯდომარე გირაოთი გათავისუფლებაზე უარს ამბობს და ასევე, ამნისტიის იმ კანონპრექტსაც აპროტესტებს, რომლის თანახმადაც, 20 ივნისის ყველა მონაწილე შეწყალებული იქნება.

აჭარის რევოლუციის 17-წლიანი საიდუმლო

ისე, 17 წლის წინ, როცა „ნაციონალები“ ასლან აბაშიძეს აუმხედრდნენ, ნიკა მელია პოლიტიკაში საერთოდ არ იყო. ზოგადად, მაშინდელ და ახლანდელ ვითარებას შორის ტოლობის ნიშნის დასმა მთლად გონივრული არ იქნება. ამიტომ, „შედარებითი დახასიათებით“ თავს არ მოგაწყენთ და თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ყველაფერი ეს, საქართველოს უახლესი ისტორიაა, ე.წ. აჭარის რევოლუციის პერიპეტიებს გაგახსენებთ. ეს გახსენება კი უპრიანი თუნდაც იმიტომაა, რომ მაშინაც ყველაფერი არჩევნების გაყალბების საბაბით დაიწყო. ისე, თუ ჩავუღმავდებით, გაყალბების მოტივით ე.წ. რევოლუციის სურვილი ახლანდელი ოპოზიციის ნაწილსაც ჰქონდა, თუმცა 19 აპრილის შეთანხმებამ მოცემულობა შეცვალა, თან ისე შეცვალა, რომ ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციის დანარჩენი ნაწილისთვის, ერთგვარად, კეთროვანად გამოიყურება...

აჭარის კრიზისის ქრონოლოგია

2003 წლის 2 ნოემბერს, საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ტარდება და აჭარაში, ტრადიციულად, პირველ ადგილზე აბაშიძის აღორძინება გადის... ედუარდ შევარდნაძის ოპოზიცია არჩევნების შედეგებს არ აღიარებს და მასობრივი აქციებით იმუქრება. შევარდნაძე ოპოზიციის ლიდერებს ხვდება, მაგრამ მოლაპარაკება უშედეგოდ მთავრდება და პრეზიდენტის ერთადერთ იმედად ასლან აბაშიძეღა რჩება. ამიტომ, 10 ნოემბერს, ამბროსის ძე აჭარაში მიემგზავრება – აბაშიძე შევარდნაძეს მხარდამჭერთა მიტინგით ხვდება. 20 ნოემბერს კი თბილისში, პარლამენტის წინ, აღორძინება პრეზიდენტ შევარდნაძის მხარდამჭერ აქციას იწყებს, რომლის ერთ-ერთი იდეოლოგი, აბაშიძესთან ყველაზე დაახლოებული, ჯემალ გოგიტიძეა. აღორძინების აქციები თბილისში, 23 ნოემბრამდე ანუ „ვარდების რევოლუციამდე“ გრძელდება.

24 ნოემბერს, ასლან აბაშიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, 30-დღიან საგანგებო მდგომარეობას აცხადებს, რაც საზღვრებზე, მათ შორის, ადმინისტრაციულ საზღვარზეც, ესე იგი, ჩოლოქზე კონტროლის გაძლიერებას გულისხმობს. პარალელურად, „ბაბუ“, რომელსაც პოლიტიკურ წრეებში, „მოკლე ფაშასაც“ ეძახიან, „ვარდების რევოლუციას“ გმობს და ირწმუნება, რომ ამით კონსტიტუციური წყობა დაირღვა.

2003 წლის 3 დეკემბერი – აბაშიძე მოსკოვში მიფრინავს და იქიდან აცხადებს, რომ **2004 წლის 4 იანვრისთვის** დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს. 8 დეკემბერს, რუსეთი აჭარასთან გამარტივებულ საზიზო რეჟიმს აწესებს, რაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების უკმაყოფილებას იწვევს. 10 დეკემბერს, აჭარაში პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, ნინო ბურჯანაძე ჩადის და ცდილობს, აბაშიძეს არჩევნების ბოიკოტზე უარი ათქმევინოს. პარალელურად, პრეზიდენტობის კანდიდატი, მიხეილ სააკაშვილი ასლან აბაშიძის მიმართ მწვავე განცხადებას აკეთებს: „მზად ვარ, წავიდე კომპრომისზე, მაგრამ არა სახელმწიფოს ხარჯზე. თუ ასლან აბაშიძეს წასვლა უნდა, შეუძლია წავიდეს, მაგრამ აჭარას თან ვერ წაიღებს. ვინც ბლოკადის თემას წამოსწევს, ყველამ უნდა იცოდეს, რომ მისთვის, ოთხი კედელი გამზადებული იქნება!“

2003 წლის 20 დეკემბერი – ბათუმს სახელმწიფო მინისტრი, ზურაბ ჟვანია სტუმრობს; 26 დეკემბერი – აბაშიძის რეჟიმის წინააღმდეგ განწყობილი მოქალაქეები სახალხო მოძრაობას – „ჩვენი აჭარა“ აფუძნებენ. მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი კობა ხაბაზია. ამასთან, ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ჩვენ აჭარას“ ფინანსურად ფოთის პორტის უფროსი, ჯემალ ინაიშვილი უზრუნველჰყოფს...

2004 წლის 6 იანვარი – განსხვავებული აზრის გამოხატვის ბრალდებით, აჭარაში ახალგაზრდული მოძრაობა „კმარას“ ორ წევრსა და მათი ოჯახის წევრებს აკავებენ და სამთვიან წინასწარ პატიმრობას უფარდებენ, თუმცა 18 იანვარს ათავისუფლებენ; 7 იანვარი – აბაშიძე ავტონომიურ რესპუბლიკაში საგანგებო მდგომარეობას ხელახლა აცხადებს. 11 იანვარს, გონიოში ათასკაციანი მიტინგი იმართება, რომლის მონაწილენიც საგანგებო მდგომარეობის გაუქმებას ითხოვენ. აქციას უცნობი პირები არბევენ.

18 იანვარი – ბათუმის ცენტრში, აჭარის შსს-ს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის უფროსს, თემურ ინაიშვილს კლავენ. აჭარაში მოქმედი ოპოზიციური ლიდერები ირწმუნებიან, რომ ინაიშვილი მხარს ოპოზიციას უჭერდა და სწორედ ამის გამო მოკლეს.

20 იანვარი – გონიოში პოლიციასა და მოქალაქეებს შორის, რომლებიც აბაშიძის გადადგომას ითხოვენ, შეტაკება ხდება.

25 იანვარი ანუ პრეზიდენტის იანუგურაციის დღე – სააკაშვილი აჭარაში ჩადის და სახედრო აღლუმს იბარებს. 27 იანვარი – მოძრაობა „ჩვენი აჭარა“ პირველ ყრილობას მართავს და აჭარაში ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლაზე საუბრობს.

27 იანვარი – ასლან აბაშიძე აცხადებს, რომ აჭარაში სისხლიანი დაპირისპირებაა მოსალოდნელი. ამასთან, აქცენტს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სცენარზე აკეთებს...

20 თებერვალი – ბათუმში „ჩვენი აჭარას“ ოფისს არბევენ, რასაც წინ აბაშიძის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის შეტაკება უძღვის. სწორედ ამ დღეს, აჭარაში ევროსაბჭოს გენერალური მდივანი, ვალტერ შვიმერი იმყოფება.

22 თებერვალს, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ბათუმის ორგანიზაციის ერთ-ერთ ლიდერსა და ოპოზიციური მოძრაობა „ჩვენი აჭარის“ წევრს იტაცებენ და სასტიკად სცემენ. წინა დღეს ანუ 21 თებერვალს კი ჩოლოქთან, ასევე, სასტიკად სცემენ მოძრაობა „კმარას“ იმ ორ აქტივისტს, რომლებსაც ბათუმში, აბაშიძის საწინააღმდეგო პლაკატები მიაქვთ.

27 თებერვალი – აბაშიძე ბათუმის სომხური დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე აცხადებს, რომ ცენტრალური ხელისუფლება ავტონომიურ რესპუბლიკაში შეიარაღებულ შეჭრას გეგმავს.

2 მარტს, საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ აჭარაში რეპრესიების ყველა გამტარებელი უნდა დაისაჯოს. ამასთან, სააკაშვილი აბაშიძეს ათდღიან ვადას აძლევს და მოუწოდებს, რომ კონკრეტულ დამნაშავეებზე სისხლის სამართლის საქმეები აღძრას.

დასასრული მე-4 გვერდზე

გაქცეული ასლანიდან დაჭერილ მელიამდე

მე-3 გვერდიდან

5 მარტი – სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტს, ვახტანგ კომახიძეს, რომელიც ბათუმიდან თბილისში ბრუნდება, ხელვაჩაურის რაიონში სცემენ. თვითმხილველები ამბობენ, რომ კობახიძეს თავს სპეცრაზმელები დაესხნენ.

7 მარტი – ასლან აბაშიძე სააკაშვილს არ ემორჩილება და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, უშიშროების სამინისტროს გაუქმებაზე უარს ამბობს. 12 მარტი – რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ჩამოგდების მცდელობაში ადანაშაულებს.

13 მარტს, აჭარის სამართალდამცავები საქართველოს ფინანსთა მინისტრს, ზურაბ ნოღაიდელს აკავებენ, რომელიც ხელვაჩაურის რაიონში, აჭარის მოსახლეობასთან შესახვედრად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ჩავიდა, თუმცა მალევე ათავისუფლებენ და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიას ატოვებინებენ. აჭარის ოფიციალურ წარმომადგენელთა თქმით, ნოღაიდელი აჭარაში დესტაბილიზაციის გამოწვევის მიზნით იმყოფებოდა.

14 მარტს, აჭარაში პრეზიდენტ სააკაშვილს არ უშვებენ – მის კორტეჟს ჩოლოქის ადმინისტრციულ საზღვარზე შეიარაღებული პირები აჩერებენ. იმავე დღეს, ბათუმის უნივერსიტეტის შენობაში მოშიმშილე ლექტორებისა და სტუდენტების ნაწილს დაუდგენელი პირები არბევენ. თბილისში დაბრუნებული სააკაშვილი ტელევიზიით გამოდის და აჭარის ხელმძღვანელობას „სამხედრო გადატრიალების მცდელობაში“ ადანაშაულებს... ცენტრალური ხელისუფლება აჭარას ეკონომიკურ სანქციებს უწესებს.

24 მარტი – საქართველოს პრეზიდენტი ამბობს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, შესაძლოა, შეყვანილი იქნას შეიარაღებული დაჯგუფებები. სააკაშვილის ამ გამოსვლას აბაშიძე უპასუხოდ არ ტოვებს და ირწუნება, რომ ოფიციალური თბილისი აჭარაში შეჭრას გეგმავს. აბაშიძე მოსახლეობას მოუწოდებს, რომ ამ გეგმას წინ აღუდგეს. 27 მარტი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერი უარყოფს ინფორმაციას, რომ აჭარის მოსახლეობაში იარაღი ბოლო დროს ცენტრსა და რეგიონს შორის დაძაბული ვითარების გამო დარიგდა. მისივე თქმით, იარაღი მოსახლეობას ქვეყანაში დაწყებული სამოქალაქო ომის დროს დაურიგდა, რადგანაც აჭარას არ ჰყავდა საკუთარი შეიარაღებული ფორმირებები.

28 მარტს, როგორც მთელ საქართველოში, აჭარაშიც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ტარდება. ამ დღეს, ბათუმში პრემიერი ჟვანია ჩადის. რამდენიმე დღეში ნათელი ხდება, რომ აღორძინებამ საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახა და, შესაბამისად, პარლამენტში ვერ შევიდა. აბაშიძე ამბობს, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ 28 მარტის საპარლამენტო არჩევნები გააყალბა.

2 აპრილი – თბილისი ბათუმს საქართველოს პრეზიდენტზე თავდასხმის მცდელობაში ადანაშაულებს. იმავე დღეს, თავდაცვის მინისტრი, გელა ბეჟუაშვილი, დაუმორჩილებლობის მოტივით, თანამდებობიდან ათავისუფლებს ბათუმში დისლოცირებული 25-ე მოტომსროლელი ბრიგადის მეთაურ რომან დუმბაძეს.

9 აპრილს, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით, თერთმეტწლიანი პატიმრობის შემდეგ, საპყრობილეს ტოვებს თენგიზ ასანიძე, რომელიც თავს აბაშიძის პოლიტპატიმრად მიიჩნევს. ამასთან, პრეზიდენტი სააკაშვილი იმუქრება, რომ თუკი ასლან აბაშიძე აჭარაში მოქმედ უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებებს არ განაიარაღებს, აჭარის უმაღლეს საბჭოს დაშლის და რიგგარეშე არჩევნებს დანიშნავს, მაგრამ აბაშიძე განიარაღებაზე უარს ამბობს.

14 აპრილს, ჩოლოქზე არ ატარებენ ცესკო-ს თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილს.

16 აპრილს კი სააკაშვილი აცხადებს, რომ პრობლემა

ცენტრსა და რეგიონს შორის კი არა, არამედ, კრიმინალების ერთ ჯგუფთანაა, რომელიც სახელმწიფოში მოქმედ კანონებს არ ემორჩილება.

ამის შემდეგ, არენაზე გენერალი რომან დუმბაძე გამოდის ანუ 2004 წლის 19 აპრილს, 25-ე მოტომსროლელი ბრიგადის აწ უკვე ყოფილი ხელმძღვანელი აცხადებს: **„მე ვემსახურები აჭარის ლიდერ ასლან აბაშიძეს და ჩემი დანიშვნა-გადაყენებაც მას ევალება. 25-ე ბრიგადაც არის ასლან აბაშიძის დაქვემდებარებაში. მთავარსარდალად ასლან აბაშიძეს ვაღიარებ!“** 20 აპრილს, გენერალური პროკურატურა დუმბაძეზე, სამშობლოს ღალატის მუხლით, სისხლის სამართლის საქმის წარმოებას იწყებს.

23 აპრილი – ასლან აბაშიძე, ცენტრსა და რეგიონს შორის არსებული ვითარების მოგვარებას რუსეთისა და აშშ-ს პრეზიდენტებს სთხოვს. იმავე დღეს, საქართველოს პარლამენტი საგანგებო დადგენილებას იღებს, რომელშიც აბაშიძის ქმედებები ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფად ფასდება. ამასთან, დეპუტატები პრეზიდენტისგან, მთავრობისა და სამართალდამცავი სტრუქტურებისგან ითხოვენ, რომ აჭარაში უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებები განაიარაღონ. 24 აპრილს, აჭარაში საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი ცხადდება.

2003 წლის 2 მაისი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვარზე მდებარე ორ – ჩოლოქისა და ქაქუთის ხიდს აფეთქებენ. 4 მაისი – ბათუმში გამართულ მშვიდობიანი საპროტესტო აქციას არბევენ. მეორე დღეს, ბათუმის უნივერსიტეტთან, ასლან აბაშიძის გადადგომის მოთხოვნით, 15 ათასამდე ადამიანი იკრიბება... ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური აქცია, რომელიც აჭარაში, ოდესმე ჩატარებულა.

რუსული ნარატივი

იმ ღამეს, ბათუმში მოვლენები დრამატულად განვითარდება: ქუჩებში, რიგით ადამიანებთან ერთად, აბაშიძის შეიარაღებული მხარდამჭერებიც გამოვლენ... ცოტაც და, ალბათ, სისხლი დაიღვრება, მაგრამ... მოულოდნელად, ავტონომიის დედაქალაქში, რუსეთის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის, იგორ ივანოვის თვითმფრინავი ეშვება, რომელსაც ასლან აბაშიძე მოსკოვში მიჰყავს. აბაშიძის გაქცევიდან მეორე-მესამე დღეს, ერთ-ერთი ქართული გაზეთი სტატიას – „როგორ გაიქცა ასლან აბაშიძე“ გამოაქვყენებს, რომელშიც ვკითხულობთ: **„ბათუმში ყველა იმაზე საუბრობს, თუ როგორ გაიქცა ასლან აბაშიძე, ვინ გაჰყვა მას და ვინ – არა. ერთი ვერსიით, იგორ ივანოვის თვითმფრინავს ასლანი და მისი ვაჟი გაჰყვნენ, მეორე თვითმფრინავს კი – უშიშროების მინისტრი, სოსო გოგიტიძე და ასლანის გარემოცვის კიდევ 50-მდე წევრი, თუმცა მათი ვინაობა არ დასახელებულა. მათ ვინაობას ვერც პრეზიდენტის მიერ დანიშნული საკოორდინაციო საბჭოს წევრები აზუსტებენ. ყოფილი ოპოზიციონერის, გურამ სალაძის ინფორმაციით, 6 მაისს, ღამით, მოსკოვში გაფრინდნენ ასლან აბაშიძე, მისი ვაჟი გიორგი, აბაშიძის ცოლისძმა და აჭარის უშიშროების მინისტრი, სოსო გოგიტიძე – მეუღლითა და ქალ-ვაჟით. ამ თვითმფრინავში იყო დავით ხალვაში – აბაშიძის დაცვის უფროსი, მეტსახელად, „ქელფეთა“, ისიც მეუღლითა და ორი ქალიშვილით. ასევე, „ქელფეთას“ დაცვის წევრები – ტყუპი ძმები მჟავანაძეები და გიორგი აბაშიძის რამდენიმე მეგობარი... როდესაც ასლან აბაშიძის თვითმფრინავი ასაფრენად გამზადებულა და ჩასხდომა დაწყებულა, აღმოჩენილა, რომ ასლანთან ერთად, გაქცევის მსურველი ბევრი ყოფილა, თვითმფრინავში კი საკმარისი ადგილი არ იყო. ზუსტად ვერავინ ამბობს, რა ეწყო თვითმფრინავის სალონში, მაგრამ ფაქტია, გაქცევის ბევრი მსურველი იძულებით დარჩენილა ბათუმში. მათ შორის ყოფილან ასლანის დაცვის წევრები – სულიკო ვასაძე და იური მჟავანაძე, ასევე, გიორგი აბაშიძის დაცვის წევრები – თამაზ ლომიძე და მურთაზ კიკნაძე. ეს ის ხალხია, ვინც ასლან აბაშიძეს ბოლომდე გვერდში ედგა...“**

ასე და ამგვარად: მიხეილის თქმისა არ იყოს, ასლანი „გაიქცა“ და... აჭარა არათუ გათავისუფლდა, არამედ, მომიტინგეებმა „ბაბუს“ ქონებაზე მოილხინეს ანუ გავეშებული ადამიანები აბაშიძის კაბინეტში შეიჭრნენ, იქაურობა მიანგრ-მოანგრიეს, განსაკუთრებული სისატიკე კი იმ სკამის მიმართ გამოიჩინეს, რომელზეც მემედ აბაშიძის შვილიშვილი, 13 წელი იჯდა – ნაკუწებად აქციეს. დამტვრეული სავარძლის დეტალები ზოგმა, ნიშნად იმისა, რომ აჭარელი დიქტატორის დამხობაში მონაწილეობდა, შინ რელიქვიად წაიღო. უფრო ფასეული ქონება კი „ვარდოსნებმა“ გაიყვეს. ყოველ შემთხვევაში, მაშინვე ითქვა, რომ მაგალითად, „ჰამარები“ თბილისში წამოიღეს და ამ ავტოებით, გიგი უგულავას, ვანო მერაბიშვილისა და სააკაშვილის მაშინდელი სხვა ძმადნაფიცების ოჯახის წევრები დანავარდობდნენ.

რატომ იზრუნა იგორ ივანოვმა აბაშიძის საქართველოდან წაყვანაზე? – ამ კითხვაზე პასუხი, თითქოს, ნათელია. კერძოდ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა დიდების ოლიმპოზე იდგა, აბაშიძეს კრემლმა გენერალ-მაიორის ჩინი უბოძა. სწორედ იმხანად ითქვა, რომ ასლანი ზვიად გამსახურდიას კრემლმა „შეუგდო“...

ისე, აჭარის რევოლუციის დღეებში, ხმა გავარდება, რომ „ვარდოსნები“ ასლანთან, თითქოს, ფარულ მოლაპარაკებას მართავენ და სთვაზობენ, გადადგეს და მემკვიდრედ ვაჟი, გიორგი აბაშიძე დატოვოს, თუმცა წლების მერე, კობა ხაბაზი, რომელიც აჭარის რევოლუციის ერთ-ერთი ლოკომოტივი იყო, ამ ვერსიას კატეგორიულად უარყოფს და იტყვის:

„აბსურდია! ხელისუფლებას ასეთი ოფიციალური პოზიცია არ ჰქონია. თუ ვინმე საკუთარი ინიციატივით ცდილობდა გიორგის გამოყენებას, არ ვიცი...“

ხვალ 6 მაისია, გიორგობა... მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ოცნება“ მოვიდა, ამ დღეს აჭარის რევოლუციას, როგორც იტყვიან, ვიწრო წრეში ნაციონალები და ექსნაციონალებიღა აღნიშნავენ... ასეა თუ ისე, ფაქტია: 2004 წლის 6 მაისი საქართველოს უახლესი ისტორიაა, რომელსაც ვერ დავივიწყებთ: ამ დღეს ასლანი გაიქცა...

რატომ ვერ ხედავენ ოპონენტები თავდაცვის სამინისტროს მზარდ ბიუჯეტს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„2007 წელს, ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტი მილიარდი ლარი იყო, 2021 წელს კი სამჯერაა შემცირებული. ბოლო ათი წელია, ეს ფული ჯარში მხოლოდ კვებაზე, ადმინისტრაციულ ხარჯებზე იხარჯება და არა – იარაღის შეძენასა და ჯარის აღმშენებლობაზე“, – ეს „გირჩის“ ყოფილი ეპისკოპოსის, ნიკა ობოლაძის სიტყვებია, რომელიც ახლა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ახალი სახეა. ობოლაძემ ეს განცხადება „ვერსიასთან“ინტერვიუში გააკეთა. ნიკა ობოლაძე ის „გირჩელი“ ეპისკოპოსი გახლდათ, რომელსაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მხოლოდ შარვლის ჩახდა და ოკუპანტისთვის შიშველი უკანალის მიშვერა ეგონა. უხეშობისთვის მკითხველს ბოდიშს ვუხდი, მაგრამ უფრო მშვიდად, თანაც გამართული სალიტერატურო ლექსიკით ნამდვილად ვერ ავხსნი, რას ნიშნავდა თავის დროზე სამხედრო სამსახურისგან თავის არიდების მოტივით, „ბიბლიური თავისუფლების“ შექმნა ანუ თუ „გირჩში“ გაწევრიანდებოდით და რაც მთავარია, მათი ეპისკოპოსი ახალ „რელიგიას“ გაზიარებდათ, ჯარში არ იმსახურებდით.

დიახ, ყველაფერი ეს იმ ქვეყანაში ხდებოდა, რომლის ტერიტორიის 20% რუსეთის მიერაა ოკუპირებული, მაგრამ „გირჩის“ მიმდევრებს ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლა სოციალურ ქსელში, საკუთარი გვერდის ავატარზე, ქართულ-ინგლისურად მიწერილი „რუსეთი ოკუპანტია“ ჰგონიათ, სამწუხაროდ...

თავდაცვის მზარდი ბიუჯეტი

რაც შეეხება თავდაცვის ბიუჯეტს, დეტალურად გაგაცნობთ, რა ოდენობის დაფინანსებას იღებდა სამინისტრო ბოლო ცხრა წლის განმავლობაში – 2012 წლიდან დღემდე, თუმცა მანამდე აუცილებლად უნდა გაგიზიაროთ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელსაც თუ ჩასაფრებული არ ხართ, ან უარესი – მტრის წისქვილზე არ ასხამთ წყალს, თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდზე, თავისუფლად ნახავთ:

„ვაშინგტონი, 20 ნოემბერი, 2017 წელი – სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოსთვის, დაახლოებით, 75 მილიონი დოლარის ღირებულების ჯაველინის ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტებისა და მართვადი გამშვები დანადგარების შესაძლო საგარეო სამხედრო გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. საქართველოს მთავრობამ მოითხოვა ოთხასათი (410) ჯაველინის ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტისა და სამოცდათორმეტი (72) მართვადი გამშვები დანადგარის შესყიდვა (ორი სათადარიგო ჯაველინის ბლოკ 1 გამშვები დანადგარის ჩათვლით); ასევე, გათვალისწინებულია ათი (10) ძირითადი უნარების საწვრთნელი მოწყობილობა; სამოცდაათამდე (70) სიმულაციური ჭურვი; აშშ-ის მთავრობისა და კონტრაქტორის ტექნიკური დახმარება; ტრანსპორტირება; სხვა ლოგისტიკური და პროგრამული დახმარება. მთლიანი მიახლოებითი ღირებულება შეადგენს 75 მილიონ აშშ დოლარს“.

თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტს საერთოდ რომ არ გავეცნოთ, მხოლოდ ეს ინფორმაციაც საკმარისია, რათა ნიკა ობოლაძე სიცრუეში ვამხილოთ, მაგრამ აუცილებლად გაჩვენებთ, როგორ იზრდებოდა წლიდან წლამდე ამ უწყების დაფინანსება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2012 წელს, თავდაცვის სამინისტრო, დაახლოებით, 712 მილიონი ლარით დაფინანსდა; 2013 წელს – დაახლოებით, 640 მილიონი ლარით; 2014 წელს – დაახლოებით, 639 მილიონი ლარით; 2015 წელს – დაახლოებით, 654 მილიონი ლარით; 2016 წელს – დაახლოებით, 722 მილიონი ლარით; 2017 წელს – 691 მილიონი ლარით; 2018 წელს – დაახლოებით, 724 მილიონი ლარით; 2019 წელს – დაახლოებით, 812 მილიონი ლარით; 2020 წელს – დაახლოებით, 889 მილიონი ლარით.

დარგის სპეციალისტის შეფასება

პროფესიონალი სამხედრო ექსპერტი, ბრიგადის გენერალი, სამხედრო მფრინავი ამირან სალუქვაძე „ვერსიასთან“ თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტს და ბოლო წლებში უწყების მიერ განხორციელებულ მასშტაბურ პროექტებს განიხილავს.

– ბატონო ამირან, ბოლო ათი წლის განმავლობაში, თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი შემცირდა თუ, პირიქით, გაიზარდა?

– საერთოდ, თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 2008 წლის აგვისტოს ომის წინა წლებიდან პერიოდულად იზრდებოდა, ციფრიც კი გვახსოვს – მილიარდნახევარი ლარი, ეს იყო უწყების ბიუჯეტი 2007 წელს, თუმცა მეორე მხრივ, არანაკლებ საინტერესოა, როგორ იხარჯებოდა ეს თანხა, ამიტომ სანამ რაღაცის ჩხრეკას დაიწყებენ, ჯერ საკუთარი გამოჩხრიკონ.

– რას გულისხმობთ?

– იმას, რაც ყველამ, ვინც საქმეშია ჩახედული და ახლოსაა თავდაცვის სფეროსთან, ისედაც კარგად იცის. ვსაუბრობ ტექნიკის შესყიდვებზე – უხეშად რომ გითხრათ, ლარიანს 2.00 ლარად ყიდულობდნენ. ამის უამრავი მაგალითია, მაგრამ ეს საქმე თაროზე უდევთ და უმჯობესია, ჩამოიღონ. ყოველთვის ვამბობდი, რომ მთავარია, იმ რესურსების სწორად წარმართვა, რომელიც ჩვენსავით, ეკონომიკურად არცთუ მდიდარ სახელმწიფოს გააჩნია, ესაა მთავარი და ამ მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ და არა – იმაზე, რომ გაზრდილი ციფრი რამის მაჩვენებელი იყოს.

სპეციალისტებმა ისიც კარგად იციან, თუ რა მდგომარეობაში დატოვეს ჯარი 2012 წელს. დეტალებში არ შევალ, ამ ინფორმაციებს გრიფით საიდუმლო ადევს, მაგრამ ჩემი კონტაქტებიდან გამომდინარე, ყოველთვის ვიცოდი და მეცოდინება, რა ხდებოდა ჯარში, რა ხდება ახლა და რა მოხდება მომავალში. ამიტომ, ბევრი სალაპარაკო ნამდვილად არ აქვთ – არც ომის წინა და განსაკუთრებით, არც ომის შემდგომ პერიოდზე.

ვიცი, რა მდგომარეობაში დარჩა ჯავშანსატანკო ტექნიკა, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ათასობით ოფიცერი დაითხოვეს თავდაცვის ძალებიდან, რომელსაც ადრე შეიარაღებული ძალები ერქვა. მხოლოდ ომის წინა პერიოდში, 7 000-ზე მეტი ოფიცერი გაუშვეს ჯარიდან... შესაბამისად, არ მგონია, რომ დღეს, ჩასაფრებულ პოზიციაში ყოფნა და ზედაპირული საუბარი მათთვის მომგებიანი იყოს, უმჯობესია, კონსტრუქციულ დიალოგში შევიდნენ თავდაცვის სამინისტროსთან.

– როგორც ეკონომიკური პროფილის ჟურნალისტმა, ზუსტად ვიცი, როგორ იზრდებოდა თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი წლიდან წლამდე, მაგრამ თუ შეიძლება, აგვიხსენით, რა გაკეთდა ამ ხნის მანძილზე უწყებაში ანუ რაში დაიხარჯა საბიუჯეტო სახსრები?

– რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს საბიუჯეტო დაფინანსებას, ამ ციფრების ანალიზს სერიოზული მუშაობა სჭირდება, მაგრამ ვისაც აინტერესებს, კარგად ხედავს, რამდენი რამ გაკეთდა ბოლო ორი წლის განმავლობაში, ვგულისხმობ ირაკლი ღარიბაშვილის პერიოდს. მეტსაც გეტყვით, მთელი 30 წლის მანძილზე, მსგავსი მასშტაბის ინფრასტრუქტურული სამუშაოები თავდაცვის სამინისტროში არ განხორციელებულა! სხვათა შორის, აკრიტიკებდნენ კიდეც, უმჯობესია, ეს თანხები საბრძოლო მზადყოფნის მიმართულებითა და ტექნიკის შესაძენად გამოიყენონო, მაგრამ ეს სამუშაოები, ფაქტობრივად, დასასრულს უახლოვდება. თუ არ ვცდები, 100 მილიონი ლარი გამოყვეს ამ ინფრასტრუქტურულ პროექტზე. დეტალურად რომ აგიხსნათ, ერთდროულად ყველა ტერიტორია, რისთვისაც 250 ადგილმდებარეობა შეარჩიეს, ევროსტანდარტების შესაბამისად გაარემონტეს. თუ ადრე, პირობითად, ვაზიანსა და ახალციხეში, ოფიცრები და ჯარისკაცები სხვადასხვა პირობებში მსახურობდნენ, დღეს უკვე ასეთი სხვაობები აღარ არის – არც საბრძოლო ბრიგადებში, არც სასწავლო ნაწილებში, არც ლოგისტიკის უზრუნველყოფის ნაწილებში. გიმეორებთ, მხოლოდ ბოლო ორწლიან პერიოდზე გესაუბრებით.

ვისაც მხოლოდ ციფრები აინტერესებს, ამ ცხრა წლის მანძილზე, ყველაზე მცირე ბიუჯეტი იყო 640 მილიონი ლარი, მაგრამ წლევანდელი ბიუჯეტი, დაახლოებით, 820 მილიონი ლარია... რომელ კლებაზეა საუბარი? ეს ბიუჯეტი იყო საშუალოდ, ომის წინა პერიოდშიც, თუ არ ჩავთვლით იმ წელს, როდესაც დაფინანსებამ მილიარდ ლარს გადააჭარბა. საინტერესოა, რამდენად ეფექტიანად დაიხარჯა ეს მილიარდნახევარი ლარი იმიტომ, რომ დაკარგულ მილიარდთან დაკავშირებით, გამოძიება მიმდინარეობს! დიახ, მილიარდი ლარია დაკარგული თავდაცვის სამინისტროდან და რაზე ვსაუბრობთ, საერთოდ?!

– ისევ იმ მასშტაბურ პროექტს დავუბრუნდეთ, რომელიც ორი წლის წინ დაიწყო. ეს პროექტი ჯარისკაცების ყოფითი პრობლემების გაუმჯობესებასაც ითვალისწინებს, არა?

– თავდაცვის ძალების მთავარ მიმართულებაა წვრთნები – საბრძოლო მზადყოფნა, ასევე, შეიარაღებისა და ტექნიკის მზადყოფნა. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ბოლო ორი წლის განმავლობაში, მასშტაბურად მიმდინარეობს საბრძოლო ტექნიკის აღდგენა, იქნება ეს საავიციო თუ ჯავშანსატანკო. ვნახეთ, რამდენი სატვირთო ავტომობილი შეისყიდა სამინისტრომ, ბოლო შესყიდვით, 300 სატვირთო ავტომობილი შეისყიდეს. აღარაფერს ვამბობ აღჭურვილობასა და შეიარაღებაზე, რომელიც აშშ-მ გადმოგვცა, ვგულისხმობ ჯაველინებს. აქვე, იმასაც გეტყვით, რომ ყველა ინფორმაცია არ არის ღია და ვცდილობ, მხოლოდ ის გითხრათ, რისი თქმაც საჯაროდ შეიძლება.

ახალ მინისტრს არ ვიცნობ, მაგრამ თავდაცვის ძალებთან აქტიურად ვმუშაობ. გარკვეულ სპეციალობაში საჰაერო თავდაცვას ვგულისმხობ – შემიძლია საკუთარი თავი პროფესიონალად ჩავთვალო, ამიტომ ეს მიმართულება მუდმივად ჩემი თვალთახედვის არეალშია. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ საჰაერო თავდაცვა ერთ-ერთი ძვირადღირებული სახეობაა და სერიოზული, თანამედროვე საჰაერო თავდაცვის სისტემის შექმნა დიდ თანხებს უკავშირდება. სხვა მხრივ, გაცილებით უკეთაა საქმე, იგივე შვეულმფრენთა პარკის აღდგენა მიმდინარეობს. კარგად გაიხსენონ, რა მდგომარეობაში დატოვეს ეს პარკი ომის შემდეგ. ახლა, ამ მდგომარეობის მასშტაბური გამოსწორების პროცესი მიმდინარეობს და ძალიან უსინდისო ან მიკერძოებული უნდა იყო, რომ ეს მასშტაბები ვერ დაინახო!

– სამხედრო ქალაქის მშენებლობაც ჯარისკაცებისა და ოფიცრების პირობების გაუმჯობესების კონტექსტში უნდა განვიხილოთ?

– რა თქმა უნდა. სამხედრო ქალაქის შესახებ ინფორმაციას სამინისტროს ვებგვერდზე გავეცანი და სრული მოწყობა მიმდინარეობს, დაწყებული გარე პერიმეტრით – ღობეებითა და ვიდეოსათვალთვალო სისტემით, დამთავრებული ყაზარმებით, შტაბებით, მოკლედ, მთელი ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა მიდის. კეთდება სავარჯიშო ცენტრები ანუ თანამედროვე სპორტული დარბაზები, რაც ჩემს პერიოდში, ჯარში არ ყოფილა.

ვინაიდან ფინანსებს შეეხეთ, მინდა, ერთი პრობლემა გაგაცნოთ – თავდაცვის ძალებში საბოლოოდ უნდა ჩამოყალიბდნენ, რა ინფრასტრუქტურა გააჩნიათ, რათა გარემონტებული ობიექტები შეინახონ. თუ წლიდან წლამდე, კაპიტალურად გარემონტებულ სამხედრო ქალაქებს ნორმალურად მოვემსახურებით, უფრო დიდხანს შევძლებთ მათ შენარჩუნებას. დღეს ესააპრობლემა, მაგრამ არ ვიცი, თავდაცვის სამინისტრო ამას პრობლემად აღიქვამს თუ არა. კარგია, რომ ამ თემას შეეხეთ, ამ საკითხს აუცილებლად დავაყენებ სამინისტროს წინაშე, რათა დახარჯული თანხა მაქსიმალურად მეტხანს იყო ეფექტიანი. დღეს გაკეთებული სამხედრო ქალაქი, ხვალ რომელიმე მინისტრმა, ან თავდაცვის ძალების მეთაურმა რომ გააუქმოს, გამოდის, ის თანხა წყალში გადაყრილა. შესაბამისად, ამაზეც უნდა ვიფიქროთ.

– ბატონო ამირან, მართალია, თავდაცვის სამინისტროში განხორციელებულ მასშტაბურ პროექტებზე ვსაუბრობთ, მაგრამ ოპონენტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სამინისტროს ბიუჯეტი მილიარდ ლარამდე მაინც უნდა გაიზარდოს, რათა რეალურად, საქმე გაკეთდეს. უკაცრავად, მაგრამ ეს მხოლოდ დიდი რიცხვების ბრახა-ბრუხი მგონია და ამაში ლოგიკას ვერ ვხედავ, არ მეთანხმებით?

– მაია, მუდმივად ეკონომიკაზე მუშაობ და ფინანსური საკითხები კარგად გესმის. დიახ, გეთანხმები, ეს არაკვალიფიციური მიდგომაა, რადგან ამოცანებიდან გამომდინარე კი არ ითვლიან, კონკრეტულად რა თანხა დასჭირდება თავდაცვის ბიუჯეტს, არამედ, ციფრებს ასახელებენ. იქნებ, ორი ან სამი მილიარდია საჭირო, ან, თუნდაც 1 მილიარდ 115 მილიონი ლარი სჭირდება? კი, ბატონო, გამიხარდება, თუ თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი გაიზრდება, როგორც სამხედრო პირი, ამის წინააღმდეგი რატომ უნდა ვიყო, მაგრამ მთავარია და ოპონენტებსაც ამისკენ მოვუწოდებ, რომ საქმიანები, კვალიფიციურები და კონსტრუქციულები ვიყოთ. ბიუჯეტის მატებას მივესალმები, მაგრამ ნამდვილად ვერ ვხედავ ტენდენციას, რომ თავდაცვის დაფინანსება მცირდება, პირიქით, როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, იზრდება – თითქმის 200 მილიონი ლარითაა მომატებული ბიუჯეტი.

„ახალციხეში მედდა იმიტომ გარდაიცვალა, რომ...“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რას სთავაზობს გიორგი ფხაკაძე ქართულ კლინიკებს

გაეროს გენერალური მდივნის მრჩეველი ჯანდაცვის საკითხებში, პროფესორი გიორგი ფხაკაძე, „ვერსიასთან“ ინტერვიუში, საქართველოს საავადმყოფოებში არსებულ ვითარებაზე საუბრობს და ქართულ კლინიკებს აკრედიტაციის გავლას სრულიად უფასოდ სთავაზობს. ფხაკაძის თქმით, მისი მიზანია, საქართველოში მაღალი ხარისხის ჯანდაცვის არსებობა... „ვერსია“ გიორგი ფხაკაძეს საფრანგეთში დაუკავშირდა:

– როცა საქართველოში მედდა გარდაიცვალა, დავინახეთ, რომ გარდაცვალების რეალური მიზეზი ვაქცინა კი არა, არამედ, პაციენტის არასწორი მართვა – უწყვეტი სამედიცინო განათლების ნაკლებობა და სამედიცინო დაწესებულებაში ბაზისური სისტემის არყოფნა გახდა. წლებია, ამ მიმართულებით ვმუშაობ საზღვარგარეთ, როგორც გაეროს, ევროკავშირის, აშშ-ის ექსპერტი და ძალიან ბევრ ქვეყანაში ვახორციელებდი ამ პროგრამას. შარშან, პარიზში, სადაც ვცხოვრობ, დავაფუძნე ორგანიზაცია – „აკრედიტაცია საზღვრების გარეშე“ და ვემზადებოდით, გაგვეკეთებინა რამდენიმე პროექტი აზიასა და აფრიკაში, მაგრამ საქართველოში რომ ეს ტრაგედია მოხდა, ჩემს კოლეგებს ვუთხარი, აფრიკა და აზია კი არა, ჩემი საქართველო მაქვს მისახედი-მეთქი და მთელი ყურადღება გადავიტანე საქართველოზე. ჩამოვაყალიბეთ პლატფორმა, რომელიც ეხმარება ქვეყნებს, ჩამოაყალიბონ სამედიცინო დაწესებულებების დამოუკიდებელი აკრედიტაცია. ვიცით, რომ სახელმწიფო ვერ იქნება დამოუკიდებელი აკრედიტორი. სახელმწიფო არის მარეგულირებელი, მაკონტროლებელი და დამოუკიდებლად ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას იმიტომ, რომ შეიძლება იყოს კორუფციის, პროფესიონალიზმის და ბევრი სხვა პრობლემა. შესაბამისად, აუცილებელია მსოფლიო პრაქტიკა, რომ არსებობდეს დამოუკიდებელი ორგანიზაციები. ასეთებია, ძირითადად, ამერიკული, კანადური, ჰოლანდიური და გერმანული ორგანიზაციები, რომლებიც დამოუკიდებელ აკრედიტაციას უკეთებენ სამედიცინო დაწესებულებებს, მაგრამ ეს ძალიან ძვირადღირებული სიამოვნებაა, საშუალოდ, პატარა კლინიკებს უჯდება 100 000 დოლარი, საავადმყოფოს კი – 300 000 დოლარი და მეტი. საქართველოში საავადმყოფოებს არ აქვთ ფუფუნება, რომ ეს თანხა გადაიხადონ, ამიტომ გამოვიყენე ჩემი 20-წლიანი გამოცდილება, ჩამოვაყალიბე ეს სისტემა და საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებს შევთავაზე დამოუკიდებელი, ნებაყოფლობითი, უფასო აკრედიტაცია რამდენიმე მიმართულებით. ესაა უსაფრთხოება, რაც გულისხმობს, მაგალითად, სამედიცინო აპარატურის მინიმალური სტანდარტის დაკმაყოფილებას... ასევე, საუბარია ბაზისურ აკრედიტაციაზე, რომ მინიმალური სტანდარტი იყოს დაცული. ამის შემდეგ კი გვექნება ხუთვარსკვლავიანი სისტემა. პრინციპი ასეთია – საავადმყოფოები ნებაყოფლობით გაუხსნიან კარებს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, აჩვენებენ, რას აკეთებენ და ჩვენ ვაძლევთ რეკომენდაციას. მე, როგორც ქართველი და ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი, უშუალოდ ვარ ჩართული ამ პროცესში. პირველი, რომელმაც ჩვენი აკრედიტაცია მოიპოვა, სტომატოლოგიური კლინიკა „ჰებეა“, რომელმაც გაიარა კითხვარი, ონლაინრეჟიმში შემოწმება, იყო რაღაც შეცდომები, მაგრამ გამოსწორდა. 31-მა ორგანიზაციამ შემოიტანა განაცხადი, მათ შორის არიან ისეთი საავდმყოფოები, როგორებიცაა, მაგალითად, „მედიქლაბი“, „მედულა“ და ა.შ. არის ესთეტიკური მედიცინის, სტომატოლოგიური და დიაგნოსტიკური კლინიკები არა მარტო თბილისში, არამედ, ბათუმში, რუსთავში და ა.შ. 12 ორგანიზაციასთან უკვე გავაფორმეთ კონტრაქტი, რომ დავიწყოთ აქტიური მუშაობა. გვინდა, დავამყაროთ საქართველოში არა რაოდენობრივი, არამედ, ხარისხიანი ჯანდაცვა, რომ მომხმარებელს დამოუკიდებელმა, არაკორუმპირებულმა ორგანიზაციამ უთხრას, ეს საავადმყოფო კარგია, ის კი უკეთესიო... ვინც აკრედიტაციას არ გაივლის, მათზე დასკვნა თვითონ გააკეთეთ.

– ბატონო გიორგი, აკრედიტაციის გაცემის დროს, საერთაშორისო სტანდარტით ხელმძღვანელობთ?

– ჯანდაცვის სტანდარტი ყველა ქვეყანაში სხვადასხვაა. სხვათა შორის, „მედიქლაბმა“ მიიღო აშშ-ის ერთ-ერთი ორგანიზაციის აკრედიტაცია. როცა საერთაშორისო სტანდარტზე ვსაუბრობთ, იგულისხმება მინიმუმის მინიმუმი. საქართველოში – რეგიონებსა და თბილისშიც არაერთ საავადმყოფოს ვმართავდი და ვიცი, რა მდგომარეობაშია ჩვენი სამედიცინო დაწესებულებები. აქედან გამომდინარე, გამოვიყენე საერთაშორისო პრაქტიკა, ეს იყო ამერიკული, კანადური, ევროპული მაგალითები და ამ სინთეზით დავიწყე ამ პროექტის განხორციელება.

საქართველოს კლინიკების 95% ვერ გაივლის მინიმალურ ამერიკულ სტანდარტს. აკრედიტაცია, რომელსაც ჩვენ გავცემთ, ორწლიანია და პირველ ვარსკვლავს ნიშნავს ანუ ვისაც ეს ვარსკვლავი ექნება, ის სამედიცინო დაწესებულება აკმაყოფილებს ისეთ მინიმალურ სტანდარტს, როგორიცაა უწყვეტი სამედიცინო განათლება, აპარატურა, გამჭვირვალობა, ხელმისაწვდომობა შშმ პირებისთვის, ინფექციის კონტროლი და ა.შ. მთელი კონცეფციაა, რათა ნელ-ნელა დამკვიდრდეს ამერიკული და ევროპული სტანდარტი. ყველაფერ ამას ვაკეთებ უფასოდ, იმის მიუხედავად, რომ ბევრი დრო მეხარჯება. სერტიფიკატი გაიცემა საფრანგეთიდან და შეფასება აბსოლუტურად დამოუკიდებელია. ვფიქრობ, ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან აღარავის ვენდობით, კორუფციაა ყველგან და არაპროფესიონალიზმი, მოსახლეობა დაბნეულია, ვერ ხვდება, რომელი საავადმყოფოა კარგი და არ იცის, სად წავიდეს. ადამიანები კლინიკებში, ძირითადად, ახლობლების რჩევით მიდიან და არ არსებობს პროფესიონალი, დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელიც გეტყვის, რომელი საავადმყოფოა კარგი. აი, ამას ვაკეთებთ და მადლობელი ვარ, რომ თქვენც ავრცელებთ ამ ინფორმაციას. რაც მეტი კლინიკა ჩაერთვება, მით უკეთესი. ამ ქვეყანაში, ეს ხომ ვიღაცამ უნდა გააკეთოს? ახლაც მეუბნებიან, რა დროს ესაა, კორონაპანდემიააო, არადა, ვფიქრობ, რომ სწორედ ახლაა ამის დრო. ახალციხეში, ის მედდა იმიტომ გარდაიცვალა, რომ საავადმყოფო არ იყო მომზადებული, არც უწყვეტი სამედიცინო განათლება ყოფილა, მინიმალური სტანდარტი რომ დაეცვათ იმ საავადმყოფოში, ეს უბედურება არ დაგვემართებოდა.

– კეთილი... გავრცელდა ინფორმაცია, რომ წლის ბოლოსთვის, „ფაიზერი“ კორონავირუსის საწინააღმდეგო წამალს შექმნის. ამაზე რას იტყვით?

– ჯერ კიდევ ახალ წელს ვთქვი, რომ 2021 წელი იქნება წამლებისა და ვაქცინების ანუ წლის ბოლომდე, უსაფრთხო ვაქცინა და საინტერესო წამლები გვექნება. ახლა 5 საინტერესო წამალი განიხილება მკურნალობის შემსუბუქების კუთხით და 300-ზე მეტ ვაქცინაზე მიდის მუშაობა... რაღაც წამალი, რა თქმა უნდა, გამოჩნდება... სიახლეები გვექნება, მაგრამ წინასწარ ამის თქმა არასწორია. „ფაიზერის“ ინფორმაციას გავეცანი, სადაც ნათქვამია, რომ ბევრი ლაბორატორია იყიდეს, რომელიც პოტენციურად, შეიძლება კოვიდის წამლის შექმნის საშუალება გახდეს. ეს, რა თქმა უნდა, ვარაუდია, თორემ კოვიდსაწინააღმდეგო წამალი არაერთია უკვე, მაგრამ წამალი ისეთია, შეიძლება, დღეს კარგი იყოს და ხვალ დაკარგოს ეფექტი. ამიტომ, წინასწარ წამლებზე ლაპარაკი არასწორია, რადგან ესაა სპეკულაცია ან ფარმაკოლოგიური კომპანიების უფასო რეკლამირება.

– საზოგადოება კოვიდსაწინააღმდეგო წამალს განსაკუთრებულად ელოდება და ამ მხრივ, ინტერესი დიდია...

– მოდით, ვაღიაროთ, რომ ადრე თუ 10 პაციენტიდან 7 კვდებოდა კოვიდისგან, ახლა 0.3%-ია ანუ ჩვენ ვისწავლეთ პაციენტების მართვა. ეს მარტო საქართველოში კი არა, მთელ მსოფლიოში ასეა. პროტოკოლები დაიხვეწა და ვიცით, როგორ ვმართოთ, ეს მუდმივი პროცესია და ამასობაში, 100-ზე მეტი, სხვადასხვა ტიპის წამალია კლინიკურ კვლევებში. ეს წამლები ეხმარება კოვიდპაციენტის მართვაში, რათა სიკვდილობა შემცირდეს ანუ ასეთი წამალი უკვე გვაქვს და ამაში ახალი არაფერია. მაგალითად, ჩინური ვაქცინა ჩემთვის უფრო წამალია, ვიდრე – ვაქცინა, რადგან მისი მიღებისას, უფრო მსუბუქად გადაიტან კოვიდს ანუ ამ ვაქცინას თუ გაიკეთებთ და შემდეგ დაგემართებათ კოვიდი, უფრო მსუბუქად გადაიტანთ.

– ისე, ჯანმო-მ უნდა განიხილოს იმ ჩინური ვაქცინის დამტკიცების საკითხი, რომელიც საქართველოშია შემოტანილი...

– „ჯონსონ & ჯონსონმა“ კი მიიღო თანხმობა, მაგრამ მერე შეჩერდა, ჩინურ ვაქცინას მესამე დონის კვლევა ბოლომდე ჩატარებული არ აქვს. 223 მილიონი დოზაა გაკეთებული მსოფლიოში და ამ ვაქცინის მიმართ იმიტომ ვარ სკეპტიკურად განწყობილი, რომ ჩინელებმა შეცვალეს მოსაზრება – ჯერ თქვეს, 79%-იანი ეფექტურობა აქვსო, მერე კი უხანის ლაბორატორიამ თქვა, შეგვეშალა, 72%-იანიაო. ჩინეთის დაავადებათა კონტროლის ცენტრმა კი თქვა, ჩვენი ვაქცინის ეფექტურობა 50%-მდეაო. არ დაგვავიწყდეს, რომ ეს უხანური შტამის ვირუსის წინააღმდეგაა, ახალი შტამების შესახებ კი კვლევები არც არსებობს. მხოლოდ ის ვიცით, რომ მსოფლიოში მოწინავე ვაქცინაა „ფაიზერი“, ყველა პარამეტრის მიხედვით და შედეგს ვხედავთ ისრაელში. თუმცა მე მაინც ყურადღებით ვუყურებ ამ ვაქცინას და აგვისტოს ბოლოს, სექტემბერში ვნახავთ „ფაიზერის“ შედეგს, რამდენად ეფექტურია. არის ბევრი პლუსი, მაგრამ მინუსებიც ჩნდება ისრაელიდან, რაც ნორმალური პროცესია...

იმედი მაქვს, რომ ეფექტური ვაქცინა და წამალი გვექნება წლის ბოლომდე, მანამდე კი ერთადერთი საუკეთესო საშუალება, რაც დღეს გვაქვს, არის სამედიცინო პირბადე. ამასთან, სოციალური დისტანცია და ხელების დაბანა საპნით აუცილებელია, სხვა გამოსავალი არ გვაქვს. ყველაზე კარგია, როდესაც ვვარჯიშობთ. ფეხით იარეთ, რაც გაზრდის თქვენს იმუნურ სისტემას.

„ხალხში დაუცველობის განცდა მატულობს და ადამიანური ფაქტორი უკანა პლანზე იწევს...“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამამულენო, ქრისტე აღდგა!

„არა ყველა, ვინც მეტყვის მე: უფალო, უფალო! – შევა ცათა სასუფეველში, არამედ ის, ვინც აღასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნებას“ (მთ. 7.21).

კვლავ დადგა ჟამი დიდებული – აღდგა უფალი ძალითა ძლიერი, რომელმაც სრულად შეცვალა სამყარო და განაცხოველა იგი.

მთელს დედამიწაზე ხარობს ეკლესია და მისი შვილნი, რადგან ამიერიდან „სამოთხე განღებულ არს და სიკუდილისა ბჭე დახშულ არს. პირველქმნილი ადამი კუალად განახლებულ არს და სამოსელი უკუდავებისა შემოსილ არს“ (იადგარი). დღეს ერთად შერცხვნენ ეშმაკი და სიკვდილი, გაცოცხლდნენ წინასწარმეტყველნი და ელხინათ მართლებს... „მაშ, გლოვის სამოსელი განიძარცვე და სიხარულის სამკაულით მოირთე, წმინდა ქალაქო“ (წმ. მელეტი ანტიოქიელი).

ქრისტე აღდგა!

გიხაროდეს ქალწულო, რამეთუ შენგან და შენ მიერ იშვებიენ ყოველნი კიდენი ქუეყანისანი.

გიხაროდენ, ერნო, ჭაბუკნო და ასულნო, მოხუცებულნო ყრმათა თანა, რამეთუ მიზანი ბოროტისა განქარვებულია და მახენი ეშმაკისა – გაშიშვლებული.

გიხაროდეს, შენც, მიწავ და ზეცავ, მთაო და ზღვაო და ყოველნო მყოფნო მათ შინა; შემოდის დღე – სასწაული, დღე – მაცხოვნებელი, დღე – გადამრჩენელი! ამიტომაც ვხმობთ: გუშინ თანა-ჯვარს ვეცმოდი ქრისტესთან, დღეს თანა-ვიდიდები; გუშინ თანა-მოვკვდებოდი, დღეს თანა-ცხოველვიქმნები; გუშინ თანა-დავეფვლოდი, დღეს თანა-აღვდგები (წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი).

აღდგომა ქრისტესი გვაზიარებს მის მიერ სიკვდილის ძლევის უდიდეს სიხარულთან, რაც ჩვენს პირად უკვდავებასაც უკავშირდება, რადგან „თუ სიკვდილის მსგავსებით თანაშეზრდილნი ვართ მასთან, აღდგომითაც მას ვემსგავსებით და როგორც ქრისტე აღდგა მკვდრეთით, ასევე, ჩვენც იმსოფლად, განახლებულ სიცოცხლეში ვივლით“ (რომ. 6.5-4)

განახლებული ცხოვრება კი დედამიწაზევე უნდა დავიწყოთ, რომ „სიცოცხლის სულის რჯულმა ქრისტე იესოში ცოდვისა და სიკვდილის რჯულისგან განგვათავისუფლოს“ (რომ. 8.2).

სიკვდილი არის საიდუმლოებით მოცული კარიბჭე, რომლის შეღებისთანავე, სულისთვის იწყება მარადული ცხოვრება, თუმცა მაინც არასრული; შემდეგ კი მოაწევს ჟამი, როცა მიცვალებულნი შეიმოსავენ განახლებულ სხეულს და „კეთილისმოქმედნი გამოვლენ სიცოცხლის აღდგომისთვის, ხოლო ბოროტისმოქმედნი – განკითხვის აღდგომისათვის“ (ინ. 5.28-29).

თუ ქრისტემდე სიკვდილი მოიწეოდა ყველაზე – მორწმუნეზეც და ურწმუნოზეც, იუდეველზეც და წარმართზეც, ასევე, მთელ სამყაროზე – მეორედ მოსვლის შემდეგ აღარ იარსებებს არც სიკვდილი და არც ხრწნილება და უფალი ყველას და ყველაფერს აღადგენს პირვანდელ მდგომარეობაში და სამართლიანობით მიაგებს ყველას მარადიულ ადგილ-სამყოფელს.

როგორი იქნება ჩვენი ხვედრი გარდაცვალების შემდეგ, ან საყოველთაო აღდგომისას, როდესაც მაცხოვარი კეთილსა და ბოროტს მარადიულად განაცალკევებს და გამიჯნავს?

* * *

ღმერთმა თავისი მეფობა სიყვარულით შექმნილ მთელ კოსმოსზე განავრცო და ადამიანი, რომელიც თავის თავში მთელი ამ სამყაროს მომცველია, განმგებლად დაადგინა, რათა მისი სამეფოსთვის ღირსეულად ეწინამძღვრა და ყველა და ყველაფერი, როგორც თავისი ნაწილი, უფლის მსგავსად, სიყვარულით ემართა.

ბიბლია გვასწავლის, რომ ჩვენმა პირველმშობლებმა და მათმა შთამომავლებმა, საღვთო დიდებიდან დაცემის შემდეგ, მრავალი პირვანდელი თვისება დაკარგეს და დედამიწაზე ცხოვრების გაგრძელება მადლისგან გაღარიბებულ გარემოში მოუხდათ;

მიუხედვად იმისა, რომ ბოროტი ძალისგან მოწევნულ ასეთ დიდ დაბრკოლებას მეტად მძიმე შედეგები მოჰყვა, ადამიანში დარჩა ხატება ღვთისა და სამოთხისეული ისეთი სათნოებები, როგორებიცაა: სიყვარული, რწმენა, ერთგულება, სამართლიანობა, მეგობრობა, სიკეთე, წესრიგი, იერარქია; ეს ფასეულობები სრულიად არამატერიალურია, ამასთან, ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველასთვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი.

აღნიშნულ ღირებულებებს ითვალისწინებს და მათ ემყარება ნებისმიერი მიწიერი მეფობაც და მისი გამოვლინებაც ამა თუ იმ სახელმწიფოს სახით (თუნდაც მკვეთრად ათეისტური სულისკვეთებისა), რის გამოც, იგი ზეციური ხელმწიფების თავისებურ აჩრდილს წარმოადგენს;

ამიტომაც ხელისუფლება რამდენადაც ხელს შეუწყობს სულიერების აღორძინებას, მით უფრო განმტკიცდება ქვეყანა. ყველასთვის ნათელი მაგალითი ამისა არის წმ. დავით წინასწარმეტყველის ხანა.

ქრისტეს აღდგომის შემდეგ, ცათა სასუფეველი ამქვეყნად ხილულად განცხადდა. იგი სხვადასხვა ხარისხით ვლინდება მორწმუნეთა სულსა და მათ ცხოვრებაში; მეორედ მოსვლის შემდეგ კი სრულიად განმსჭვალავს ყოველივეს – ხილულსაც და უხილავსაც.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ წარმავალ სოფელში ვცხოვრობთ, თუ დავიცავთ ზეციური მეუფის, მაცხოვრის კანონებს, შევძლებთ, ამქვეყნადვე გავხდეთ ცათა სასუფევლის მოქალაქენი, რათა გარდაცვალების შემდეგ, დავიმკვიდროთ იგი და მარადიულად ღვთის დიდებაში დავრჩეთ, განურჩევლად იმისა, რომელ ქვეყანაში ვმკვიდრობთ და რა ეროვნებისანი ვართ.

რა პირობები უნდა შევასრულოთ ამისთვის?

ნებისმიერი სახელმწიფო, საზოგადოების თითოეული წარმომადგენლისგან ითხოვს ერთგულებას, მოვალეობისადმი პასუხისმგებლობას, ომის დროს კი თავდადებასაც;

ბუნებრივია, ღვთის საუფლოს მკვიდრობის მსურველთ მეტი ერთგულება და თავგანწირვა გვმართებს, რადგან ჩვენ მუდმივი ბრძოლის ქარ-ცეცხლში გვიწევს ყოფნა და ომი გვაქვს „არა სისხლთა და ხორცთა, არამედ... ცისქვეშეთის უკეთურ სულთა წინააღმდეგ“ (ეფ. 6.12).

ამასთან, ღვთის სამეფოს მოქალაქეებისთვის მთავარი მიზანი ჭეშმარიტი სიყვარულით სავსე მარადისობაა და არა ამსოფლიური კეთილდღეობა. უფლისგან მოცემული მცნებებიც ამ მარადისობის გზამკვლევია და განსხვავდებიან მიწიერი კანონებისგან; თუმცა საღვთო მოშურნეობის მქონე ქრისტიანისთვისაც კი ჩვეულებრივი მიწიერი ყოფა და, აუცილებლობიდან გამომდინარე, მატერიალურზე ზრუნვა უცხო არ არის; იგი სულიერ და მიწიერ ფასეულობებს შორის უპირატესობას, რა თქმა უნდა, პირველს ანიჭებს და იცავს პრინციპს: „მიეცი კეისარს კეისრისა და ღვთისა ღმერთსა“ (მთ. 22, 15.22), რაც ნიშნავს იმას, რომ კეისარს (ანუ მიწიერ ხელისუფალთ) უნდა მივაგოთ საკადრისი პატივი, მაგრამ არა ისეთი, როგორიც – ღმერთს.

ამასთან, ღრმადმორწმუნე ქრისტიანმაც შეიძლება დაუშვას გარკვეული შეცდომები, ვერ გაუმკლავდეს გამოწვევებს, გამოიჩინოს სულმოკლეობაც... მაგრამ არ უნდა შეშინდეს, რადგან „არა არს კაცი, რომელიც ცხონდეს და არა სცოდოს“, მაგრამ მან სინანულით, აღსარებითა და ზიარების მადლით უნდა უწამლოს თავის სულიერ იარებს და, ღვთის იმედით, კვლავ უშიშრად განაგრძოს ცხოვრების გზა.

იესო ქრისტეს მიერ მოცემული ძირითადი პირობა-აღთქმანი კი ასეთია:

„გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი, მთელი შენი გულითა და სულით, მთელი შენი შეძლებით“ (მთ. 22.37-39; მრკ. 12.29-31);

„შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (მრკ. 12.31) და „როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, ასევე გიყვარდეთ თქვენც ერთმანეთი“ (ინ. 13.34);

„გიყვარდეთ მტერნი თქვენნი“ (მთ. 5.44);

„თუ მე გიყვარვართ, ჩემი მცნებებიც დაიცავით, ხოლო თუ ჩემს მცნებებს დაიცავთ, ჩემს სიყვარულში იქნებით“ (ინ. 14.15).

რა იგულისხმება საკუთარი თავის სიყვარულში?

ქრისტიანული გაგებით, საკუთარი თავის სიყვარული, პირველ რიგში, ნიშნავს ჩვენს მუდმივ ზრუნვას საკუთარ თავზე, რათა შევძლოთ ცოდვით დაცემული შინაგანი სამყარო განვიწმინდოთ, ეგოიზმის, შურის, ღვარძლისა და ბოროტებისაგან გავათავისუფლოთ და სულში ღვთის ხატება და მსგავსება აღვიდგინოთ და ავაღორძინოთ; ამისთვის კი მთელი არსებით უნდა ვიღვაწოთ, რადგან ამქვეყნად სწორედ ესაა ჩვენი დანიშნულება, ჩვენი სიცოცხლის აზრი.

საკუთარი თავის სიყვარული, ასევე, ნიშნავს იმას, რომ უფლის მსგავსად, თავგანწირული, უშურველი სიყვარულით შევიყვაროთ მოყვასი, ვიყოთ თანამდგომნი, და მისი წარმატებით ვხარობდეთ; განსაცდელის ჟამს კი – ძალისამებრ ჩვენისა დავეხმაროთ;

მოყვასი ჩვენსავით ღვთის ხატად არის შექმნილი და, ამდენად, ნაწილია ჩვენიც და უფლისაც; მისდამი ჩვენი დამოკიდებულება კი ღვთისადმი ჩვენს დამოკიდებულებას წარმოაჩენს.

დასასრული მე-8 გვერდზე

„ხალხში დაუცველობის განცდა მატულობს და ადამიანური ფაქტორი უკანა პლანზე იწევს...“

მე-7 გვერდიდან

აი, როგორ ბრძანებს მაცხოვარი: „რადგან მშიოდა და მომეცით საჭმელი, მწყუროდა და მასვით მე, უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ, შიშველი ვიყავ და შემმოსეთ, სნეული ვიყავ და მომხედეთ, საპყრობილეში ვიყავ და მომინახულეთ, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რითაც შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით მე შემეწიეთ“ (მთ. 25, 35-36.40).

ღმერთთან და მოყვასთან ერთობის სულით არის განმსჭვალული საუფლო ლოცვაც. ამიტომაც ვამბობთ: „მამაო ჩვენო“ და არა „მამაო ჩემო“, ან „მოგვიტევე ჩვენ“ და არა „მომიტევე მე“ და როცა მას წარმოვთქვამთ, ეს უნდა გავაცნობიეროთ და აუცილებლად გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი ლოცვა ლოცვად შეირაცხოს. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ამა თუ იმ ადამიანმა შეიძლება შეგვცოდოს და უსამართლოდ გული გვატკინოს, მაგრამ თუ სათანადო სინანული ექნება და ამას გამოხატავს – უნდა შევუნდოთ.

ვისაც მოყვასისადმი ასეთი დამოკიდებულებები არა აქვს, მტრობს საკუთარ თავს, რადგან ჭეშმარიტი სიყვარულის ვერშემცნობია და ღვთის ნების წინააღმდეგი.

როგორ უნდა მოვექცეთ მათ, ვინც ჩვენ გვმტრობს?

ვინაიდან უფალს მზე ამოჰყავს ბოროტთა და კეთილთა ზედა და აწვიმებს მართალთაც და უსამართლოთაც (მთ. 5.45), ჩვენ თუ საკუთარი თავი გვიყვარს და ღვთისშვილობა გვსურს, მაცხოვრის მსგავსად უნდა მოვექცეთ ჩვენს მოძულეს ანუ გულწრფელი სიყვარული ვაჩვენოთ, სიკეთე მივაგოთ, მისთვის ვილოცოთ და ბოროტებაზე ბოროტებით არ ვუპასუხოთ; ოღონდ, როგორც მოყვასთან მიმართებაში, ამ შემთხვევაშიც, უნდა გავემიჯნოთ მის ცოდვებსა და უსჯულოებებს;

ხოლო თუ ეკლესიისა და მოყვასის მიერ სინანულისკენ მომწოდებელი არაერთგზისი შეგონებანი არ იქნება მისგან შესმენილი, უნდა განვეშოროთ მას, „როგორც მეზვერესა და წარმართს“ (მთ. 18, 17-18).

ღვთის რჩეული ერი წარმართს აღიქვამდა, როგორც ეთნიკურად სრულიად უცხოს და სარწმუნოებრივადაც – შეუწყნარებელს; ხოლო მეზვერეს (გადასახადების ამკრეფს) – საკუთარი ერის საზიანოდ, წარმართთა ინტერესების გამტარებელს.

ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ასეთი ადამიანი თავისი უსიყვარულობით ღვთის გარეგანი ხდება.

* * *

სულ სხვა წესებს ემორჩილებიან და სხვაგვარად აზროვნებენ ისინი, რომელთაც სულიერი თვალი დახშული აქვთ და არც ღვთისა სწამთ და არც – მისი აღდგომისა.

მათ შესახებ წმინდა გრიგოლ ნოსელი ასე წერს:

თუკი არ არსებობს აღდგომა და სიკვდილით სიცოცხლე მთავრდება, დაუბრკოლებელი თავისუფლება ეძლევა კაცის მკვლელს; დაე, მეძავმა კადნიერად ხლართოს ბადეები ქორწინების წინააღმდეგ და მომხვეჭელნი ფუფუნებას მიეცნენ სხვათა დაჩაგვრის ხარჯზე... ნურავინ შეაჩერებს მაგინებელსა და ბილწის მთქმელს; დაე, ფიცის დამრღვევი მუდამ იფიცებდეს ტყუილად; დაე, იცრუონ, რამდენსაც ინებებენ, რადგან არავითარი სარგებელი არ არის ჭეშმარიტებისაგან...

და ასკვნის:

ამგვარი მსჯელობა სულს ამღვრევს და წარღვნამდელზე უარესი უწესრიგობა მოაქვს; თუ არ არის აღდგომა, არ არის უფლის სამსჯავროც; თუ უარყოფილია სამსჯავრო, უარყოფილია ღვთის შიშიც; ხოლო სადაც არ არის მოკრძალებული შიში ღვთისა, იქ ზეიმობს ეშმაკი.

ასე იყო მუდამ, როცა ურწმუნოება მძლავრობდა ხალხში. ეს დღესაც ასეა, ოღონდ უფრო რთული ვითარება გვაქვს და თუ რატომ, მოკლედ შემდეგს ვიტყვით:

ნებისმიერი პიროვნება რომ არ არის სრულყოფილი, ამას, ჩვენს მსგავსად, ურწმუნონიც აცნობიერებენ, მაგრამ ღმერთთან კავშირისა და სულიერი განწმენდის ნაცვლად, ისინი ამჟამად ისეთ ყოფას გვთავაზობენ, სადაც ერთი მხრივ, დომინანტური ფუნქცია ექნება რობოტებს, მეორე მხრივ კი, ადამიანის არასრულფასოვნებას ხელოვნური ინტელექტი „შეავსებს“.

ამავე დროს, ათეისტური თანამედროვე აზროვნება სხვა რეალობის შესაქმნელად ემზადება და ცდილობს ადამიანური ყოფიერების ფუნდამენტური პრინციპების გადახედვას, რათა თვითნებური მოდელირების გზით წაშალოს ზღვარი ნამდვილსა და წარმოსახვითს, ადამიანურს, მექანიკურს,

ცხოველურსა და ქიმერულს შორის და კონტროლისა და ძალაუფლების ახალი, აქამდე უცნობი ფორმები დაამკვიდროს.

ფილოსოფოსები საზოგადოების განვითარების ამ პერიოდს პოსტ-ჰუმანისტურს უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ მიზანმიმართულად ხდება ზოგადად არსებული ნორმების რღვევა, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სტრუქტურების დაკნინება, განათლების დონის დაცემა, სიღმისეული აზროვნებისთვის საფუძვლების მოშლა; „კრიზისული წესრიგის“ ფონზე კი ხელი ეწყობა ისეთი შემეცნების ჩამოყალიბებას, სადაც ეროვნული გრძნობები გამქრალია, სიყვარული, სიკეთე, სამართლიანობა... გაყალბებული, პიროვნების იდეალი – უპერსპექტივო და გაუფერულებული; წაშლილია ადამიანობის განმსაზღვრელი ტრადიციული იდენტობები: „მამაკაცი“ და „ქალი“, „ოჯახური ფასეულობები“...

ამგვარ სივრცეში, საზოგადოების კლასიკური გაგება ნელ-ნელა ქრება, ხალხში დაუცველობის განცდა მატულობს და ადამიანური ფაქტორი უკანა პლანზე იწევს;

ამას ემატება ზოგადად რელიგიისადმი და, კონკრეტულად საქართველოში, მართლმადიდებელი ეკლესიისადმი საზოგადოების გარკვეული ნაწილისა და ზოგიერთი მედია-საშუალების მხრიდან მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება, სიძულვილის ენით მეტყველება, ორგანიზებული სახით პიროვნული და ინსტიტუციონალური დისკრედიტაციის მცდელობის მხარდაჭერა და მათი წახალისება, რომელნიც ამ პროცესში არიან ჩართულნი.

გვახსენდება ბოლო ჟამის შესახებ მოციქულის სიტყვები: „უკანასკნელ ჟამს მოვლენ მკრეხელნი, თავიანთ უკეთურ გულისთქმათაებრ მავალნი; ესენი არიან განხეთქილების მოქმედნი, მშვინვიერნი, სულის არმქონენი... მდრტვინავნი, უკმაყოფილონი, თავიანთ გულისთქმათაებრ მავალნი, რომელთა ბაგენი მედიდურობენ და სარგებლის გამო პირფერობენ“.

* * *

დაახლოებით ასეთად აღიქმება თანამედროვე მდგომარეობაც. სამწუხაროდ, ამ სივრცეში კარგად არავინ არის და ყველას დიდი განსაცდელი აქვს: „ახალი სამყაროს“ წარმომადგენლებს თუნდაც იმიტომ, რომ ტექნიკური პროგრესი იმდენად წინ წავიდა და საზოგადოების სულიერი განვითარება მას იმდენად ჩამორჩა, რომ ინოვაციების დამნერგავი ადამიანი თვითონ დამცირდა თავისი ქმნილების წინაშე და მისგან მართული ხდება. მათ შორის უფსკრული მომავალში უფრო გაღრმავდება და სწორედ ესაა ერთ-ერთი არსებითი პრობლემა, თორემ ტექნიკურ მიღწევებს, რა თქმა უნდა, სიკეთეც მოაქვს, მაგრამ უღვთო და სულიერებისაგან დაცლილი პიროვნებების ხელში იგი სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანს.

არც მოწმუნეთათვის არის ცხოვრება ადვილი; მათი გული ბოროტსა და კეთილს შორის სულიერი ბრძოლის ისეთ ასპარეზად იქცა, რომლის მსგავსი უწინ არასოდეს ყოფილა (აღარაფერს ვამბობთ საერთო ეკონომიკურ გაჭირვებაზე, რომლისგანაც ქვეყანა ათწლეულებია ვერ გამოდის).

გამოსავალი ორივე შემთხვევაში ერთია:

მთელი არსებით უნდა მივიქცეთ ღვთისკენ – ყოვლადწმინდა სამებისკენ და ჩვენი ცნობიერება მის უზენაესობას დავუმორჩილოთ.

ამასთან, რაკი ღვთისაგან ყველაფერი სიყვარულით და სიყვარულისთვის შეიქმნა, ასეთივე გრძნობით უნდა ვუპასუხოთ შემოქმედს და გარე სამყაროსაც.

აღდგომილი მაცხოვარი, მოციქულ პეტრეს მსგავსად, ნებისმიერ ჩვენგანს მოგვმართავს: „გიყვარვარ მე?“

ამ კითხვას საქართველოში თითქმის ყველა დადებით პასუხს გასცემს, მაგრამ არის რამდენიმე კრიტერიუმი, რომელიც ადვილად მიგვახვედრებს, სინამდვილეში, ვართ თუ არა მართლები.

ჩვენი რწმენის სიმტკიცე და უფლისადმი ერთგულება გამოცდას ჩვენს ცხოვრებაში არსებული განსაცდელებით გადის; ყველაზე მეტად ამ დროს ხდება ნათელი, მართლაც მთელი გულითა და მთელი არსებით გვიყვარს თუ არა უფალი, რაც შემოქმედისადმი ჩვენი ნდობის ხარისხით განისაზღვრება.

მაგალითად, თუ ჩვენ ვლოცულობთ და ვევედრებით უფალს, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ ვაღწევთ, გვაქვს კი რწმენა იმისა, რომ ჩვენს თხოვნაზე უკეთესი იქნება ის, რასაც მაცხოვარი მოგვაგებს? და თუ გვაქვს, ე. ი. მინდობილნი ვართ მას და მადლიერებით მივიღებთ ყოველივეს. ამასთან, ამ განწყობამ არ უნდა დაგვტოვოს მაშინაც, როდესაც დიდი ტკივილისა და მწუხარების წინაშე აღმოვჩნდებით.

ამქვეყნად არაფერი არ უნდა იყოს ისეთი, რაზეც ძლიერი მიჯაჭვულობის გამო, შეიძლება სასოწარკვეთილებაში ჩავვარდეთ. წუთისოფელი წარმავალია და ყოველივეც – მას შინა. ამიტომაც, ცათა სასუფევლის მჭვრეტელი გონება კარგად აცნობიერებს მაცხოვრის სიტყვების სიღრმესა და მნიშვნელობას: „ვისაც მამა ან დედა ჩემზე მეტად უყვარს, არ არის ჩემი ღირსი; და ვისაც ძე ან ასული ჩემზე მეტად უყვარს, არ არის ჩემი ღირსი“. (მთ. 10.37).

თუ ჩვენ ღმერთს ისეთი სიყვარულით შევიყვარებთ, რომლის გადამწონი ამქვეყნად არავინ და არაფერი იქნება, ჩვენშიც და ჩვენს გარშემოც ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება, ჭეშმარიტი წესრიგი დამყარდება და უფლისგანაც საოცარ შეწევნას მივიღებთ.

ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო, ჩავიხედოთ ჩვენს გულში და პირუთვნელად შევაფასოთ საკუთარი თავი. თუ მყარი რწმენა არა გვაქვს უფლისადმი, ვთხოვოთ მას დახმარება, როგორც სთხოვა სნეული შვილის მამამ იესო ქრისტეს, რათა შესწეოდა მის ურწმუნოებას და განეკურნა მისი შვილი. უფალმა ისმინა მისი, ორივე სურვილი აღუსრულა და სიხარულითა დიდითა აღავსო იგი (მკ. 9.24).

მსგავსი სიხარულის თანაზიარნი ჩვენც რომ გავხდეთ, ღვთის შეცნობისაკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნდა გადავდგათ: ვიკითხოთ წმინდა წერილი, წმინდანთა ცხოვრება და დარიგებანი. ასევე, მუდმივად უნდა ვთხოვდეთ მაცხოვარს, განგვაძლიეროს და იერემია წინასწარმეტყველის სიტყვებით ვევედროთ: „განმკურნე, უფალო და განვიკურნები, გადამარჩინე, უფალო და გადავრჩები, რადგან შენ ხარ ჩემი დიდება“ (იერ. 17.14).

ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, სომეხნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, უდინნო, იეზიდნო, ქურთნო, ინგუშნო, ჩერქეზნო, ჩეჩენნო, ლეკნო, ყოველნო მკვიდრნო საქართველოისა, და ჩვენს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, ყოველნო ერნო:

ქრისტე აღდგა!

მკვდრეთით აღმდგარი ღმერთი გვიხმობს სამეუფეო გზისკენ, მარადიული დიდებისა და ნეტარებისკენ, მარადიული სიყვარულისა და სიხარულისკენ.

მის შესახვედრად, „უწინარეს ყოვლისა იპყარით რწმენის ფარი, რითაც შესძლებთ უკეთურის ყველა ცეცხლოვანი ისრის დაშრეტას“ (ეფ. 6.11) და „შეიმოსეთ გულმოწყალება, შემწყნარებლობა, სიტკბოება, სიმდაბლე, სიმშვიდე, დიდსულოვნება; მიუტევეთ და თქვენი თავი მიჰმადლეთ ურთიერთს... შეიმოსეთ სიყვარული, რომელიც არის სიმტკიცე სრულქმნილებისა. ყველაფერს განაგებდეს თქვენს გულებში მშვიდობა ღმრთისა და მადლიერნი იყავით“... (კოლ. 3.12-16)... შეირტყით წელზე ჭეშმარიტება და შეიმოსეთ სიმართლის აბჯრით (ეფ. 6.12), რათა „დავიმკვიდროთ შეუძვრელი სასუფეველი“ (ებრ. 12.28)

გახსოვდეთ, „იესო ქრისტე გუშინ, დღეს და უკუნისამდე იგივეა“ (ებრ. 13.8) და ჟამთა ცვლა მას არ ეხება.

გიხაროდეთ, ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი,
ილია II
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და
ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი
აღდგომა ქრისტესი,
2021 წელი

საქართველოს სამართალი
№14 5 მაისი 2021 წ

„დანის ერთი დარტყმით მოვკალი“

მკვლელობა გავლენიანი ადამიანების კორპუსში და მკვლელის აღიარებითი ჩვენება

ბათო ჯაფარიძე

საქართველოში „მხედრიონის“ სახელმა ისევ გაიჟღერა – შს ყოფილმა მინისტრმა, თემურ ხაჩიშვილმა პირდაპირ თქვა, ჩემზე თავდასხმას „მხედრიონის“ წევრის შვილი ცდილობდა და საბედნიეროდ, ვერ მოახერხეაო. ზოგადად, „მხედრიონი“ ძალიან უცნაური მოვლენა იყო. დღემდე ბევრს, ის ვაჟკაცების ორგანიზაციად მიაჩნია, ბევრი კი თვლის, რომ „მხედრიონი“, უბრალოდ, ნაძირლების თავშესაფარი იყო. რეალობა კი ის გახლავთ, რომ „მხედრიონში“, ისევე, როგორც ყველგან, იყვნენ ვაჟკაცებიცა და ნაძირლებიც. საბოლოოდ, ზუსტად ისე გამოვიდა, ერთმა ტალახიანმა ღორმა ათასი რომ გასვარა. „მხედრიონმა“ აფხაზეთში ძალიან ბევრი მებრძოლი დაკარგა, მაგრამ იყო აფხაზეთი და იყო... დარჩელი, თუმცა ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. მაშინ ბევრი ცდილობდა, რაღაცები „მხედრიონისთვის“ დაებრალებინა, ბევრიც „მხედრიონელობას“ იბრალებდა და დღემდე არაერთ გაუხსნელ დანაშაულზე მიწერილია – „მხედრიონი“ იზამდაო, თუმცა რეალობა არავინ იცის და არც ის, იზამდა თუ არა.

„თბილისის ერთ-ერთ კორპუსში, მოსახლეობამ პენსიონერი დაიქირავა. იქ შეძლებული ხალხი ცხოვრობდა, ეს კაცი კი კარისკაცის ფუნქციას ასრულებდა – სადარბაზოს კეტავდა, თუ ვინმე იარაღიანი მოვიდოდა, კორპუსში განგაშს ტეხდა. მოკლედ, ცოცხალი სიგნალიზაცია იყო. ჰოდა, ერთ დღეს, დილით, ეს კაცი სადარბაზოში, სახელდახელოდ მოწყობილ ჯიხურში გარდაცვლილი იპოვეს – დანა ჰქონდა გულში დარტყმული, თუმცა მკვლელობის იარაღი ადგილზე არ იყო. მაშინ, 90-იანებში, მკვლელობა სხვა დანაშაულებზე ხშირად ხდებოდა და 24-საათიან რეჟიმში ვმუშაობდით. იმ კორპუსში იმდენი გავლენიანი ადამიანი ცხოვრობდა, შუაზე უნდა გავხეულიყავით და საქმე გაგვეხსნა“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ადგილზე მისულ თანამშრომლებს ბევრი არაფერი დახვდათ. არ იყო მკვლელობის იარაღი, არ იყო მოწმე და რაც მთავარია, ჯიხურში იყო მხოლოდ იმ მოხუცის თითის ანაბეჭდი. კორპუსის მცხოვრებლებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ასაკის მიუხედავად, კაცს მტკიცე ხასიათი ჰქონდა, არავის ეპუებოდა და კბილებამდე შეიარაღებულ ხალხსაც კი უკან აბრუნებდა. გაჩნდა ვერსია, რომ სწორედ იმ კბილებამდე შეიარაღებულმა ხალხმა იმსხვერპლა და ძიება ამ მიმართულებით წავიდა. პარალელურად, გარდაცვლილის წარსულის შესწავლაც დაიწყეს, აღმოაჩინეს, რომ პენსიაზე გასვლამდე, ციხეში ზედამხედველად მუშაობდა და დიდი ალბათობით, შესაძლოა, ყოფილ პატიმარს ეძია შური, თუმცა...

„მის ბიოგრაფიაში იყო ერთი საინტერესო დეტალი: როცა ციხეში მუშაობდა, სამ პატიმარს გაქცევის მცდელობა ჰქონდა. გაქცეულები სწორედ მოკლულმა დაინახა და ცეცხლი გახსნა. ორი ადგილზე მოკლა, მესამე – დაჭრა. სწორედ იმ მესამის ძიება დავიწყეთ და დავადგინეთ, რომ იმ პერიოდისთვის, „მხედრიონში“ მსახურობდა. რაღა თქმა უნდა, გაჩნდა სერიოზული ეჭვი, რომ მკვლელობა სწორედ მისი ჩადენილი იყო და ძებნა დავიწყეთ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ძებნილს მალე მიაგნეს. კბილებამდე შეიარაღებული, ის ერთ-ერთ შტაბში იყო. გასაგებ მიზეზთა გამო, დაკითხვაზე ვერ წაიყვანდნენ, ამიტომ გამომძიებლებმა იქვე გამოკითხეს. პასუხიც შესაბამისი მიიღეს – ჩემი მოკლული რომ იყოს, არ დავმალავდი, არც კი ვიცოდი, მანდ თუ მუშაობდა, ან საერთოდ, სად იყო, თორემ შეიძლება, მართლა მომეკლაო. გარდა ამისა, მკვლელობის დროს, „მხედრიონელი“ სხვა ქალაქში იყო და მოწმეებიც ჰყავდა. მართალია, მოწმეების ძირითადი ნაწილიც „მხედრიონელები“ გახლდნენ, მაგრამ მაშინ ამ ორგანიზაციას ისეთი ძალაუფლება ჰქონდა, მკვლელობას, უბრალოდ, არ დამალავდნენ, „იღადავებდნენ“ და სამართალდამცავებს დასცინებდნენ.

გამოძიება ჩიხში შევიდა, რადგან სხვა მტერი გარდაცვლილს, უბრალოდ, არ ჰყავდა. არ ჰყავდა ცოლ-შვილი და გარდაცვალების შემდეგ, მისი ბინა ბიძაშვილს უნდა დარჩენოდა. ბიძაშვილი სოფელში ცხოვრობდა, თავს გაჭირვებით ირჩენდა და თბილისის ბინა, მისთვის ერთგვარი შვება იქნებოდა. შესაბამისად, ეჭვმიტანილი ის გახდა და მილიციის თანამშრომლები სოფელში ჩავიდნენ.

უტელეფონობის, უშუქობის და კიდევ ბევრი „უ“-ს გამო, ბიძაშვილმა მკვლელობის შესახებ არაფერი იცოდა – ბიძის მეზობლები ვერ დაუკავშირდნენ და მილიციისგან შეიტყო, რომ ბიძაშვილი გარდაიცვალა, რომელიც მეორე დღეს, მეზობლებს უნდა დაემარხათ სამადლოდ. ალიბიც ჰქონდა – სოფლიდან არ გასულა, მთელი სოფელი თავდებში დაუდგა და არც ეტყობოდა იმ კაცს მკვლელის არაფერი. როცა ბინა და შესაძლო შემოსავალი უხსენეს, ხელი ჩაიქნია, მაგას იმდენი საბუთები და ფული დასჭირდება, არ მაქვს და ალბათ, არც მომცემენ მაგ ბინასო.

გამოძიებას სხვა ეჭვმიტანილი და მოწმე არ ჰყავდა. კორპუსის მაცხოვრებლებმა კი თქვეს, გარდაცვლილს თან ძველებური, ვერცხლის ძალიან ძვირფასი პორტსიგარი ჰქონდა და შეიძლება, იმისთვის გაიმეტა ვინმემო, მაგრამ პორტსიგარიც ჯიბეში ედო, რაც იმას ნიშნავდა, რომ მისი დაუფლება მკვლელს არ სურდა.

გარდაცვლილი სამადლოდ მეზობლებმა გაასვენეს, იქ მისულმა სამართალდამცავებმა კი საინტერესო ვერაფერი ნახეს. ის იყო, ხელი უნდა ჩაექნიათ, რომ განყოფილებაში აღნიშნული კორპუსის ერთ-ერთი მაცხოვრებელი მივიდა და განწირული ხმით თქვა – გამქურდეს!

მკვლელობის განყოფილებაში ქურდობით ნაკლებად ინტერესდებოდნენ, მაგრამ ეს სხვა შემთხვევა იყო. პატრონი ბინაში ორი კვირა არ იმყოფებოდა, დაბრუნდა და ბინა გაქურდული დახვდა. რაც მთავარია, სავარაუდოდ, კარი „ატმიჩკით“ იყო გაღებული და დაკეტილი ანუ სანამ თავად არ შევიდა სახლში, მანამდე ვერავინ ვერაფერი გაიგო. გაჩნდა ვერსია, რომ ქურდი სწორედ მოხუცმა დაინახა, იცნო და ამის გამო მოიშორეს. მოპარულ ნივთებს შორის, ერთი ძველებური ხატი იყო, რომლის ფასსაც პატრონი ვერ ასახელებდა. ექსპერტებმა თქვეს, შეუფასებელიაო. მისივე თქმით, იმ მდგომარეობაში, ხატს ვერავინ გაყიდდა, რადგან სერიოზული რესტავრაცია და, დაახლოებით, 3-4 ათასი დოლარი სჭირდებოდა, რაც იმ დროისთვის, ძალიან დიდი ფული იყო.

„თბილისში, ხატების რესტავრატორები ერთი ხელის თითებზე დაითვლებოდნენ, ამიტომ ყველას სათითაოდ ჩამოვუარე, თან მისი მფლობელიც წავიყვანე და ერთ-ერთ სახელოსნოში, ხატს მივაგენით – რესტავრაციისთვის ჰქონდათ დატოვებული. რესტავრატორმაც არაფერი დამალა, პირდაპირ თქვა, არ ვიცი, ვინ მომიტანა, მაგრამ ფულის ნახევარი დატოვა, მეორე ნახევარს ორ დღეში შემოიტანს და ხატსაც წაიღებსო. გარისკვა არ შეიძლეროდა, სახელოსნოსთან ჩასაფრება იმ დღესვე მოვაწყვეთ“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

მართლაც, ხატის წასაღებად, შემკვეთი ორ დღეში მივიდა და მარტივად დააკავეს. ის იმავე კორპუსის მაცხოვრებელი და საკმაოდ შეძლებული კაცი აღმოჩნდა, თუმცა...

„ბიზნესი დავიწყე, მაგრამ არ გაამართლა. სხვადასხვა კრიმინალურმა დაჯგუფებამ სულ ნაწილ-ნაწილ წამართვა ყველაფერი. შემდეგ მანქანა გავყიდე, ვალები რომ დამერიგებინა, მაგრამ მანქანის ფულიც გზაში წამართვეს. დავრჩი ყველაფრის გარეშე და მევალეებმა რომ გაიგეს, ქურდები ჩარიეს, მათ ცალკე პროცენტები დამაკისრეს, ამიტომ რაღაც უნდა მეღონა. ვიცოდი, რომ მეზობელს საოცარი ხატი ჰქონდა, კლიენტიც კი ვნახე, „ატმიჩკებს“ კი ახალგაზრდობიდან, გასართობად ვაკეთებდი და ვიყენებდი კიდეც – მეგობრების სახლებს ვაღებდი, ვერთობოდი. ყველაფერი საჩემოდ მოხდა, მეზობელი სადღაც წავიდა, ბინაში დაუბრკოლებლად შევაღწიე, ხატთან ერთად, დაახლოებით, ათასი დოლარიც წამოვიღე და ოქროს საათიც, რომელიც ოქრომჭედელს ჯართად ჩავაბარე, მაგრამ ვინმეს რომ არ ეცნო, ჯერ რელსზე დავდე და მატარებელმა ჯართად აქცია. არ ვიცი, იმ ჩემი ცოდვით სავსეს, იმ დღეს რა უნდოდა, ღამის სამ საათზე, მეზობლის ბინიდან რომ გამოვედი, კართან დამხვდა – ხმაური გავიგე, ასეთ დროს, კარს არავინ აღებს და ამოვედიო. მითხრა, ამ კაცის ბინაში რა გინდაო და ვუპასუხე, წასულია, ყვავილების მოსარწყავად გასაღები დამიტოვა-მეთქი. თავი გადააქნია, მატყუებ რაღაცას, ნამყოფი ვარ მაგასთან, ყვავილები არ მინახავსო და დამემუქრა, ეგ ფუთა, ხელში რომ გიჭირავს, უკან შეიტანე, თორემ მილიციაში დავრეკავო. კამათ-კამათით მის ოთახში ჩავედი. მივხვდი, არასასურველი მოწმე იყო და ამიტომ, დანის ერთი დარტყმით მოვკალი. დანარჩენი კი იცით“, – ეს გახლავთ ამონარიდი დაკავებულის ჩვენებიდან.

სასამართლომ ქურდობისა და მკვლელობის ფაქტზე დაკავებულს 11 წელი მიუსაჯა, თუმცა ნახევარიც არ მოუხდია – შეიწყალეს.

18 წლის გოგო, დეიდის ქმარმა ჯერ გააუპატიურა, შემდეგ კი მოკლა

დიდი ოჯახური საიდუმლო, რომელსაც ფარდა 26 წლის შემდეგ აეხადა

ბათო ჯაფარიძე

სამწუხაროდ, დღეს ქუჩაში მიტოვებული ჩვილი აღარავის უკვირს. პატარა ბავშვებს ხან ნაგვის ურნაში მოისვრიან, ხან პირდაპირ ქუჩაში ტოვებენ. ადრე კი ასე არ იყო. თუ ანალოგიური რამ მოხდებოდა, ლამის, მთელი საქართველო იგებდა და მის ჩამდენს არა თუ კიცხავდნენ, არამედ, ხშირად საცხოვრებლის გამოცვლასაც აიძულებდნენ ხოლმე. ლოგიკა მარტივი იყო – თუ ბავშვი გაიმეტა, ყველას გაიმეტებსო.

დეიდამ დისშვილი გარდაცვლილი იპოვა – საავადმყოფოდან გამოწერეს და გაუკვირდა, ერთადერთი დისშვილი რომ არ მივიდა დასახვედრად, ამიტომ შინ შეუარა, კარი გასაღებით გააღო და 42 წლის ქალი ლოგინში გარდაცვლილი ნახა. მაშინვე სასწრაფოში დარეკა და სასწრაფომ მილიციის თანამშრომლებიც მიიყოლა. სანამ ბუნებრივი სიკვდილი არ დადგინდებოდა, სამართალდამცავები ვალდებულნი იყვნენ, საქმე აღეძრათ.

„შეგიძლია, მუშაობა მკვლელობის ან თვითმკვლელობის ვერსიაზე დაიწყო. კლასიკური მოწამვლაა და იმის გარკვევა მოგიწევს, თავი მოიკლა, თუ დაეხმარნენ ამ უბედურს“, – უთხრა ექიმმა ადგილზე მისულ გამომძიებელს.

ოთახში, მაგიდაზე, ვარდების თაიგული და შოკოლადი იდო. აი, ის, „ასორტი“ რომ ეწერა და ბევრისთვის საოცნებო ნუგბარი გახლდათ, რეალურად, ბევრი არაფერი – ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი შოკოლადი, სასურველზე ცოტა დაბალი ხარისხისაც კი. ტკბილეული ექსპერტიზაზე წაიღეს, გამომძიებელმა კი დეიდა დაკითხა.

„ჩემი დისშვილი ერთი უბრალო გოგოა. მასწავლებლად მუშაობდა, ხელფასი არაფერში ჰყოფნიდა, მე და ჩემი ქმარი ვეხმარებოდით. 30 წლის ასაკში, ვიღაც არანორმალური გამოჩნდა, ცოლობა სთხოვა და ესეც მაშინვე გაჰყვა. ერთ თვეში, ის კაცი დაიჭირეს, ყაჩაღობისთვის 7 წელი მიუსაჯეს, ციხიდან გამოსვლის შემდეგ დაბრუნდა. ამ შტერმაც ისევ მიიღო და მერე ისევ დაიჭირეს. ახლა ისევ გამოჩნდა, გამოვედიო და ამან რომ აღარ მიიღო, ძალიან გაბრაზდა. არ გამოვრიცხავ, თუ მოკლულია, სწორედ მისი გაკეთებული იყოს“, – აღნიშნა დეიდამ.

კრიმინალი ქმრის ძებნა მაშინვე დაიწყო და მას ერთ საათში მიაგნეს. სამართალდამცავების დანახვისას, ქმარი გაიქცა, თუმცა დევნა დიდხანს არ გაგრძელებულა – ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლის შემდეგ, გაქცეულმა ხელები ასწია, შემდეგ კი პირდაპირ ასფალტზე დაწვა. სამწუხაროდ, ტყვია ტყუილად დაიხარჯა – ეჭვმიტანილმა არც ცოლის გარდაცვალების შესახებ იცოდა რამე და რკინის ალიბიც ჰქონდა. მალე ექსპერტიზის დასკვნაც მოვიდა – ქალი მოწამლული შოკოლადის მიღების შემდეგ გარდაიცვალა, ახლა ის იყო გასარკვევი, ვინ მიუტანა ვარდების თაიგული და ტკბილეული, თანაც ისე, რომ შოკოლადს ძღვენის მიმტანმა პირი არ დააკარა. დეიდამ ეს ფაქტიც განმარტა – ჩემი დისშვილი შოკოლადზე გიჟდებოდა, ამიტომ რაც ნაკლებს შეჭამდნენ სტუმრები, უხაროდაო, ერთადერთი, რასაც არავის სთავაზობდა და აძალებდა, შოკოლადი იყოო, თუმცა ექსპერტიზას კიდევ ერთი საინტერესო დეტალი ჰქონდა – მაგიდაზე მდგარ ჭიქებზე, გარდაცვლილის თითის ანაბეჭდების გარდა, კიდევ ერთი ანაბეჭდი იყო, რომელიც სახლში სხვაგან არსად გახლდათ. ვინაიდან და რადგანაც გარდაცვლილთან ურთიერთობა მხოლოდ დეიდას და დეიდის ქმარს ჰქონდათ, მათი ანაბეჭდებიც აიღეს, თუმცა ეს სხვისი იყო. აი, ის სხვა იყო მოსანახი და სამართალდამცავებმა გარდაცვლილის ბიოგრაფიის შესწავლა დაიწყეს.

დეიდამ კი თქვა, იმდენად უინტერესო და მოსაწყენი იქნება, არ გირჩევთო, მაგრამ...

საარქივო ცნობებით გაირკვა, რომ თავდაპირველად, გოგო რეგიონში ცხოვრობდა, სადაც 18 წლის ასაკში, ბავშვი გააჩინა და მშობიარობიდან მეორე დღეს, ჩვილი პალატის ფანჯრიდან გადმოაგდო. საბედნიეროდ, კარგად შეფუთული ჩვილი ტოტებში გაიხლართა და ძირს რბილად დაეცა. მას მოტეხილობა არ დაუდგინდა, სამაგიეროდ, გოგოს დაუდგინეს ფსიქიკური აშლილობა მშობიარობის ფონზე, თუმცა ყველაფერმა ამან არ გაიარა და ბავშვი ჩამოართვეს.

როცა ეს ამბავი დეიდას უთხრეს, მან სახე ჩამოიხოკა – „მახსოვს, როგორ არ მახსოვს. საოცარი ბავშვი იყო. შვილი არ მყავს და როცა ჩემს დისშვილს დედობის უფლება ჩამოართვეს, მინდოდა, მე მეშვილებინა, თუმცა უკვე გაშვილებული დამხვდა...“

სამართალდამცავები ბავშვთა სახლში წავიდნენ. იქ არა მარტო აღნიშნული ისტორია ახსოვდა რამდენიმე ძველ თანამშრომელს, არამედ, ისიც თქვეს, რომ დაახლოებით, ორი თვის წინ, მათთან მივიდა ახალგაზრდა კაცი, თქვა, რომ სწორედ ის ბავშვი იყო, რომელიც დედამ ფანჯრიდან გადააგდო და ბიულოგიურ დედას ეძებდა. კანონის თანახმად, ბავშვთა სახლის თანამშრომლებმა ეს ინფორმაცია არ მისცეს, მაგრამ მაშინ ყველაფერი იყიდებოდა და გამომძიებლები არ გამორიცხავდნენ, რომელიმე თანამშრომელს, ფულის სანაცვლოდ, საიდუმლო გაეთქვა... ბიჭმა დედა იპოვა და წარსულის გამო, შური იძია.

რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავებმა გაარკვიეს, ვინ იშვილა ბიჭი, ვის გვარზე იყო და სახლშიც დაადგნენ. ბიჭი შინ იყო, წინ ორი სურათი ედო და დასცქეროდა. სამართალდამცავების დანახვამ გააკვირვა და როცა უთხრეს, რის გამოც იყვნენ მისულები, ახალგაზრდა კაცს ისტერიკა დაეწყო. გაირკვა, რომ მას რამდენიმე თვის წინ, მშობლები ავარიაში გარდაეცვალა. დედამ სამი დღე იცოცხლა და სწორედ მაშინ, საავადმყოფოში უამბო სიმართლე. ბიჭმა ამის შემდეგ გადაწყვიტა ბიოლოგიური დედის მოძებნა, რადგან აღარავინ დარჩა. იპოვა კიდეც და იპოვა მოხუცი თანამშრომლის წყალობით. დედასაც ძალიან გაუხარდა შვილის ნახვა, იმ დღეს ბიჭი მასთან იყო მისული, მამა უნდა გაეცნო, შოკოლადი და ყვავილები იქ დახვდა, დედამ უთხრა, მამა გავიდა, ნახევარ საათში დაბრუნდებაო. მანამდე, დედამ შოკოლადი ჭამა, ბიჭს ხელი არ უხლია – არ უყვარდა. მერე დედამ უთხრა, თავი ამტკივდა, წამოვწვებიო და დაიძინა. ბიჭმაც კარი გაიხურა და წავიდა. გაუკვირდა, დედა რომ აღარ შეეხმიანა და მის მონახულებას კვლავ აპირებდა. ჰო, ერთი მნიშვნელოვანი დეტალი – როცა ბიჭი კიბეზე ადიოდა, გზად კაცი შეხვდა. ჰკითხა კიდეც დედამ, ვინმე ხომ არ შეგხვედრიაო და ბიჭმა დამალა, მიხვდა, მამას შეეჩეხა და არ უნდოდა, დედისთვის ეთქვა, მამა კიბეზე ვნახე და გვერდით ჩავუარეო. მერე, უფრო სახალისოდ გამოჩნდებოდა ეს ამბავი. მან ზუსტად აღწერა კაცი, რომელიც შეხვდა და გამომძიებლებმა ერთმანეთს გადახედეს – აღწერილობით კაცი ძალიან ჰგავდა დეიდის ქმარს.

სამართალდამცავებმა დეიდის ქმრის ფოტო მოიპოვეს და ახლომდებარე მაღაზიები დაიარეს. ერთ-ერთ მაღაზიაში, გამყიდველმა დაადასტურა, რომ რამდენიმე დღის წინ, ამ კაცმა მათგან „ასორტის“ შოკოლადი იყიდა და ეს იმიტომ დაამახსოვრდა, რომ კაცს ხელში ვარდების ლამაზი თაიგულიც ეჭირა. ცხადი გახდა, მოწამლული შოკოლადი ცოლის დისშვილთან სწორედ მან აიტანა, მაგრამ ეს საკმარისი მტკიცებულება მაინც არ გახლდათ. 26 წლის ბიჭის მონაყოლი, მამა უნდა გაგაცნოო, ბევრ რამეზე მეტყველებდა. სავარაუდოდ, 26 წლის წინ, ცოლის დისშვილი სწორედ მან შეაცდინა და ბავშვიც მისი იყო. სამართალდამცავებმა სამსახურში დეიდას მიაკითხეს და ბავშვის სავარაუდო მამაზე ჰკითხეს. ქალმა მხრები აიჩეჩა, ამ თემაზე ჩემი დისშვილი არასოდეს საუბრობდა, როგორც ვიცი, თანაკლასელთან ჰქონდა ურთიერთობა, მაგრამ ცოცხალი თავით, არც ამან თქვა რამე და არც – თანაკლასელებმაო.

შემდეგ ქალს პირდაპირ ჰკითხეს, ხომ არ არსებობდა ვერსია, რომ მის დისშვილს ბავშვი მისი ქმრისგან ჰყოლოდა, რაზეც ქალი დაიბნა, თუმცა მტკიცედ მიუგო – იყო ეს ვარაუდიც, თუმცა არაფერი დამტკიცებულა და ქმარმაც ყველაფერი უარყოო.

გამოძიებამ მამაკაცი დააკავა და... შვილს დაუპირისპირა. შვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, სწორედ ეს კაცი შემხვდა კიბეზეო, გამყიდველმა ქალმაც ამოიცნო და დამალვას აზრი აღარ ჰქონდა.

„ჰო, ლამის სამი ათეული წლის წინ შევცდი და ჩემი ცოლის დისშვილთან სიახლოვე მქონდა. ორივე ძალიან ბედნიერები ვიყავით, თუმცა შემდეგ, მისმა ორსულობამ შოკში ჩამაგდო. ეს კარიერის დასრულებას და საშვილიშვილო სირცხვილს ნიშნავდა. გოგოსგან პირობა ავიღე, რომ არაფერს იტყოდა, ბავშვი კი... ბავშვი თავად მოისროლა ფანჯრიდან, მეც შოკში ვიყავი. ახლა კი გამომიცხადა, ჩვენი შვილი გამოჩნდაო. თავად მე შვილი არ მყავს, მაგრამ საზოგადოებაში მაქვს სერიოზული ადგილი, კარგი თანამდებობა და ყველაფერი ეს არ მაწყობდა, თანაც ცოლთან სკანდალი და ამბების ატეხვა ცალკე პრობლემა იყო, ამიტომ გავაკეთე ის, რაც გავაკეთე, ამ ლაწირაკს კი, ჩემთვის პრობლემების მეტი არაფერი მოუტანია“, – დაასრულა მონოლოგი დეიდის ქმარმა.

სასამართლომ დამნაშავეს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ქუთაისში „კანონიერი ქურდის“ სახლი გაძარცვეს

სად დამალეს მძარცველებმა საათების კოლექცია და რატომ დაიბრალა ბინის ქურდის ბიძამ მკვლელობა

ბათო ჯაფარიძე

იმის მიუხედავად, რომ „კანონიერი ქურდობა“ საქართველოში (და არა მარტო) კანონით ისჯება, „კანონიერი ქურდების“ მიმართ პატივისცემა მაინც არსებობს. მეტიც, თითქმის გამორიცხულია, „კანონიერი ქურდის“ ქონებას საქართველოში ვინმე შეეხოს. ადრე კი ქურდის მანქანა და ბინა არ იკეტებოდა, რადგან ვერავინ ბედავდა, ხელი ეხლო მისი ნივთებისთვის. მიუხედავად ამისა, ერთ მშვენიერ დღეს, ქუთაისში, იმ დროს ცნობილი და გავლენიანი „კანონიერი ქურდის“ ბინა ღამით გაასუფთავეს. ეს მთელი „შავი სამყაროსთვის“ სახეში სილის გაწვნას ნიშნავდა. ამიტომ, მთელი კრიმინალური სისტემა ამუშავდა და ყველა იმ თავხედს ეძებდა, რომელმაც ქურდის ბინიდან, სხვა ნივთებთან ერთად, საათების იშვიათი კოლექციაც წაიღო. მაშინ ამბობდნენ, ეს კოლექცია, ლამის, მილიონი მანეთი ღირსო და იმის მიუხედავად, რომ „ქურდული კანონებით“, მის მფლობელს ასეთი ქონება არ უნდა ჰქონოდა, ამაზე არც არავინ ედავებოდა. მით უმეტეს, ეს „კანონიერი ქურდი“ ხშირად იმეორებდა, ჩემი საკუთარი არაფერი მაქვს, რაც გამაჩნია, ქურდული „ობშჩიაკისაა“ და ნებისმიერ დროს, ქურდულს თუ დასჭირდება, საათებს გავყიდითო. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ სიტყვები იყო, რეალურად კი მას ვერავინ გაუბედავდა, საათები გაყიდე და ფული „ობშჩიაკში“ ჩადეო.

მომხდარიდან ორ დღეში, თბილისში, ერთ-ერთი ბინის პატრონმა მილიციაში დარეკა და განაცხადა, რომ ღამით, შინ შესული ბინის ქურდი მოკლა. ქუთაისური ბინის ქურდობასა და ამ მკვლელობას შორის კავშირს, მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა.

„ადგილზე რომ მივედი და მოკლულს დავხედე, გაოცებისგან ყვირილი აღმომხდა. ის მხოლოდ საქართველოში კი არა, საკავშირო მასშტაბით ცნობილი ბინის ქურდი იყო, ძებნაზე გვყავდა, არ გვეგონა, საქართველოში თუ დაბრუნდა და აგერ, ჩემს წინ, მკვდარი ეგდო“, – იხსენებს საინტერესო ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

სახლის პატრონი მოხუცი ყვებოდა, ღამით ხმაურმა გამაღვიძა, დავინახე, ვიღაც მოძრაობდა, სავარჯიშო გირი ავიღე, მივეპარე და თავში ჩავარტყი, ალბათ, ზედმეტი მომივიდა და მოკვდაო. სისხლიანი გირიც იქვე ეგდო და სახლის პატრონმაც თავად დარეკა მილიციაში. ერთი შეხედვით, ყველაფერი ეს მარტივი და გასაგები იყო, მაგრამ არა – გამოძიებისთვის. კაცი, რომელიც, პრაქტიკულად, ნომერ პირველი ბინის ქურდი იყო საქართველოში და რომელიც იძებნებოდა, მოსაპარად შევიდა ვიღაც მოხუცთან, რომელსაც თითქმის არაფერი ებადა? რაც მთავარია, ასეთი გამოცდილი ქურდი სახლს არ უთვალთვალებდა და არ იცოდა, რომ პატრონი შინ იყო? ყველაფერი ეს ლოგიკაში არ ჯდებოდა. სამართალდამცავებმა მოხუცი კიდევ ერთხელ გამოკითხეს, მაგრამ ახალი ვერაფერი გაიგეს.

„ვერ მოვისვენე, ვერ დავიძინე და მეორე დღეს, მოხუცთან მარტო მივედი. ვიფიქრე, რამეს წამოვაცდენინებ-მეთქი. ეზოში რომ შევედი, ვიღაც ახალგაზრდა კაცს ედავებოდა. როგორც მივხვდი, მანქანის დასაყენებელ ადგილზე კამათობდნენ. არ ჩავერიე, ვუსმინე და მერე, მოხუცის ნაცვლად, იმ კაცს მივუკაკუნე ბინაზე. მომისმინა და სიცილი დაიწყო, ეგ მკვლელობას ვერ ჩაიდენდა, ღამით სახლში არ იყოო. გამიკვირდა, შენ რა იცი-მეთქი და ეგ ღამით, რომელიღაცა ქარხნის მუშებს ატარებს და მაგაში ფულს იღებს. თავის დანგრეული მოსკვიჩით დაჰყავს, ღამის ორ საათზე გადის, დილით შვიდზე ბრუნდება. ჰოდა, მაგის მონაყოლი – მეძინა, ავდექი, ვიღაც დავინახე – ზღაპარია. მანქანა ეზოში არ იყო, დილით რომ მოვიდა, ყვიროდა, ჩემს ადგილზე მანქანა რატომ გააჩერეო. ამ ყვირილზე მთელმა კორპუსმა გამოიხედა და როგორ გგონიათ, იმ ქურდმა ვერ გაიგო, რომ ბინის პატრონი დაბრუნდა?!“ – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ეს რაღაც ახალი იყო და რაც მთავარია, ექსპერტმა დაადასტურა, მკვლელობა, დაახლოებით, დილის 4-დან 5-მდე მოხდაო ანუ იმ დროს, როცა მოხუცი სახლში არ იყო. სანამ მას ხელმეორედ დაკითხავდნენ, ის მუშები იპოვეს, რომლებიც ღამის ცვლაში დაჰყავდა და მათაც დაუდასტურეს, ჩვენთან ერთად იყო, ვერავის მოკლავდაო. ახლა გასარკვევი ის გახლდათ, ვის გადარჩენას ცდილობდა მოხუცი და ვის აფარებდა ხელს?

ცოლ-შვილი არ ჰყავდა და შესაბამისად, მარტო ცხოვრობდა, თუმცა ისიც გაირკვა, რომ ძმისშვილი სტუმრობდა ხშირად, ისიც ბინის ქურდი, რომელსაც ორი ნასამართლეობა ჰქონდა, მაგრამ ბიძას მასზე მზე და მთვარე ამოსდიოდა. ძმისშვილი მოიკითხეს, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი არავინ იცოდა. მოხუცი დაკითხვაზე, განყოფილებაში დაიბარეს და აუხსნეს, თუ ძველ ჩვენებას „მიაწვებოდა“, ცრუ ჩვენებისთვის ციხეს ვერ გადაურჩებოდა, ძმისშვილს კი, ადრე თუ გვიან, მაინც დაიჭერდნენ.

„აბა, რა გითხრათ? ჩემი ძმისშვილი ამ კაცთან ერთად მოვიდა, ერთი კვირა შენთან ვიცხოვრებთო. უარი არ მითქვამს, იმ ღამით, ჩვეულებრივად, მუშების წასაყვანად გავედი, დავბრუნდი და ეს მკვდარი დამხვდა ჩემი გირით, ძმისშვილი – გამქრალი. ლოგიკურად ვიფიქრე, რაღაც ვერ გაიყვეს-მეთქი, მკვლელობა დავიბრალე და მერე ძმისშვილსაც შევუთვლიდი, გამოჩნდი-მეთქი. ახლა კი ყველაფერმა აზრი დაკარგა“, – ამოილუღლუღა მოხუცმა.

გარდაცვლილი ბინის ქურდის „პადელნიკს“ მეორე დღეს მიაგნეს. დაკავებისას წინააღმდეგობა არ გაუწევია, თუმცა უნიტაზში რაღაცის ჩარეცხვას შეეცადა და ის რაღაც მაჯის საათი იყო. დაკითხვის შემდეგ გაირკვა, რომ ეს საათი ერთ-ერთი გახლდათ იმ კოლექციიდან, რომელიც ქუთაისში, „კანონიერი ქურდის“ ბინიდან მოიპარეს. ვერსია თავისთავად გამოიკვეთა. ქურდმა გაიგო, ვინ გაასუფთავა მისი ბინა, ერთი მოკლა, მეორეს კი ეძებდა. თავად დაკავებული ამბობდა, მაღაზიაში საყიდლებზე გავედი, რომ დავბრუნდი, ჩემი „პადელნიკი“ მკვდარი ეგდო, ვიფიქრე, „კანონიერი ქურდის“ საძმაკაცომ მოგვაგნო-მეთქი და დავიმალეო. რაღა თქმა უნდა, დაკითხვაზე „კანონიერი ქურდიც“ დაიბარეს. იმის მიუხედავად, რომ ის გამოცდილი კრიმინალი იყო, აშკარად შეეტყო, არაფერი იცოდა.

სამართალდამცავებმა ხერხი იხმარეს – მაქსიმალური ინფორმაცია მიაწოდეს, საათიც ანახეს, რომელიც ქურდმა იცნო და... გაუშვეს, რადგან მის წინააღმდეგ სამხილი არ ჰქონდათ. რაღა თქმა უნდა, მასზე 24-საათიანი თვალთვალი დააწესეს, რადგან კარგად ხვდებოდნენ – კრიმინალური სამყაროს იერარქიის უმაღლეს საფეხურზე მყოფი პირი ბევრად მალე იპოვიდა მას, ვინც მისი ბინის ქურდი მოკლა, ვიდრე სამართალდამცავები. გამოძიება არ შემცდარა.

„იმ დღეს არაფერი და მეორე დღეს, „კანონიერი ქურდი“, თავის გარემოცვასთან ერთად, ნაქურდალი ნივთების ცნობილ გადამყიდველს დაადგა. ბინა, დაახლოებით, ორი საათის შემდეგ დატოვეს, თუმცა არაფერი წაუღიათ. ორი ოპერმუშაკი იმ გადამყიდველის სახლთანაც დავტოვეთ, დანარჩენებმა „კანონიერი ქურდის“ თვალთვალი განაგრძეს. ღამით, ოპერმუშაკებმა გადამყიდველი მაშინ დააკავეს, როცა ის სახლიდან, არც თუ მომცრო ჩანთით გამოვიდა და გაზონებზე გადარბენით, შეუმჩნევლად ცდილობდა ტერიტორიიდან გასვლას. ჩანთაში საათების კოლექცია, ბრილიანტის ორი წყვილი საყურე, ოქროს ბეჭდები, ძეწკვები და „ჯართი ოქრო“ იდო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

„გარდაცვლილი ერთი თვის წინ მოვიდა, მითხრა, ისეთი საქმე მომეცი, რაშიც ასი ათასს გადამიხდი, აქედან უნდა წავიდეო. ხუმრობით ვუთხარი, ასი ათასს მხოლოდ იმ „კანონიერი ქურდის“ საათების კოლექციაში მოგცემ-მეთქი. რას ვიფიქრებდი, მართლა თუ მოიპარავდა? მერე დამადგა, იყიდეო და მხოლოდ რამდენიმე საათი მაჩვენა, დანარჩენები საიმედო ადგილას მაქვსო. იქ უნდა შევხვედროდით, ფული უნდა მიმეტანა. მივედი და მარტო იყო, გამიკვირდა, აქეთ ღამის მილიონიანი „ტავარი“ და ჩემი ასი ათასი ცალკე. გირს ფეხი წამოვკარი და მაშინვე მოვიფიქრე, რომ მომეკლა. შემდეგ, ყველაფერი ავიღე და წამოვედი“, – ასეთი იყო გადამყიდველის მონაყოლი.

მისივე თქმით, იმავე კორპუსში, მოხუცი მეზობლისგან ერთი ოთახი ჰქონდა ნაქირავები და ყველაფერს იქ ინახავდა. მასთან მისულმა სტუმრებმა ამიტომ ვერ იპოვეს ვერაფერი და შეეშვნენ, თუმცა ეჭვი რომ საფუძვლიანი იყო, კარგად იცოდნენ.

სასამართლომ ქურდობისთვის მოხუცის ძმისშვილს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, გადამყიდველს მკვლელობისთვის – 8 წელი, თუმცა ის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, საეჭვო ვითარებაში, მალევე გარდაიცვალა.

რაც შეეხება 4-წლიანს, ბიძამ იმდენი მოახერხა, რომ მთელი ეს ვადა სამარტოო საკანში მოახდევინა, იქიდან გამოსული კი რუსეთში გაისტუმრა.

ვახტანგ გომელაური საქართველოს თავდაცვის ძალების დაარსების 30 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას დაესწრო

შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური, ვაზიანის სამხედრო ბაზაზე, საქართველოს თავდაცვის ძალების დაარსების 30 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას დაესწრო.

ღონისძიებას საქართველოს პრეზიდენტი – სალომე ზურაბიშვილი, პრემიერ-მინისტრი – ირაკლი ღარიბაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე – კახა კუჭავა, თავდაცვის მინისტრი – ჯუანშერ ბურჭულაძე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე – ალექსი ბატიაშვილი, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ. თავდაცვის სამინისტროს მე-4 მექანიზებული ბრიგადის სამწყობრო მოედანზე, პირადი შემადგენლობისთვის სიტყვით მიმართვისა და მილოცვის შემდეგ, სამხედროების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ბაზაზე გამოფენილი სამხედრო ტექნიკა და ეკიპირება დაათვალიერა. ვახტანგ გომელაურმა თავდაცვის ძალების დღე სამხედრო მოსამსახურეებს პირადად მიულოცა.

პოლიციამ კასპში მომხდარ მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით, კიდევ ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, კასპში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტის გამოძიების ფარგლებში, კიდევ ერთი პირი – 1990 წელს დაბადებული ქ.ჩ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს. მას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვა ედება ბრალად. დანაშაული 2-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ამავე საქმეზე უკვე დაკავებულია 1991 წელს დაბადებული ზ.კ., რომელმაც მიმდინარე წლის 13 მარტს, კასპში, 1987 წელს დაბადებულ ნ.ღ.-ს, ანგარიშსწორების მიზნით, ცივი იარაღით სხეულზე სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა. საქმეზე გამოძიება განზრახ მკვლელობისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვის ფაქტებზე, სსკ-ს 108-ე და 375-ე მუხლის მესამე ნაწილით მიმდინარეობს.

პოლიციამ ფონიჭალაში სამი ნარკორეალიზატორი დააკავა – დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრებს მძიმე დანაშაულში ჩართული ჰყავდათ მცირეწლოვანი ბავშვი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე გიორგი ლილუაშვილმა, ბრიფინგზე, სამი ნარკორეალიზატორის დაკავების დეტალებზე ისაუბრა.

როგორც მან განაცხადა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ორგანიზებული დაჯგუფების წევრები: 1995 წელს დაბადებული ა. ა., 1980 წელს დაბადებული ნ. გ. და 1976 წელს დაბადებული ნ. კ. დააკავეს. მათ ბრალად ედებათ წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვა და გასაღება.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადოდ თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ა.ა.-მ, ნ.გ.-მ და ნ.კ.-მ, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, გადაინაწილეს როლები და ნარკოტიკულ საშუალებებს სისტემატურად ასაღებდნენ.

გეგმის მიხედვით, ა.ა. ნარკოტიკული საშუალებების შემძენ პირებთან კომუნიკაციას ამყარებდა, ხოლო ერთი ოჯახის ორი წევრი – ნ. გ. და ნ. კ., დათქმულ ადგილზე, მყიდველისთვის ნარკოტიკული საშუალების მიწოდებასა და ფულის მიღებას უზრუნველყოფდნენ. მათ დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართული ჰყავდათ მცირეწლოვანი ბავშვიც. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით, საქმეში სოციალური სამსახურისა და ყველა სხვა შესაბამისი უწყება ჩაერთო.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ბრალდებულებისგან ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით მიმდინარეობს.

კიბერდანაშაულის წინააღმდეგ სისხლის სამართლის პოლიტიკის გამკაცრების შესახებ, შსს-ს მიერ ინიცირებული კანონპროექტის საპარლამენტო განხილვები დასრულდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, კიბერდანაშაულის წინააღმდეგ სისხლის სამართლის პოლიტიკის გამკაცრების შესახებ, შსს-ს მიერ ინიცირებული კანონპროექტი მე-3 მოსმენით წარადგინა. კანონპროექტს დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიზნით, შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის მიღების შედეგად, საქართველოს კანონმდებლობა დაუახლოვდება „კიბერდანაშაულის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციას, რაც ხელს შეუწყობს კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას.

ცვლილების თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს ემატება ორი ახალი მუხლი.

286-ე პრიმა მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფის შემთხვევაში. აღნიშნული დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ გათვალისწინებულია უფრო მკაცრი სასჯელი, ვიდრე სხვა კიბერდანაშაულებისთვის.

ასევე, სისხლის სამართლის კოდექსს ემატემა 2862 მუხლი, რაც ყალბი კომპიუტერული მონაცემის შექმნისთვის ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ინიცირებული კანონპროექტით მნიშვნელოვანი ცვლილებები ხორციელდება სისხლის სამართლის კოდექსის კიბერდანაშაულის თავში. მათ შორის, ცალკე დამამძიმებელ გარემოებად გამოიყო კიბერდანაშაულის ჩადენა კრიტიკული ინფრასტრუქტურის მიმართ.

კიბერდანაშაული 21-ე საუკუნის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, რასაც ადასტურებს ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაზრდილი სტატისტიკა. დამნაშავეთა მხრიდან, მუდმივად იხვეწება დანაშაულის ჩადენის ხერხები და მეთოდები, რაც სახელმწიფოს მხრიდან იმგვარი ნორმების ჩამოყალიბებას მოითხოვს, რომელიც ერთი მხრივ, უპასუხებს კიბერდანაშაულის თანამედროვე ტენდენციებსა და გამოწვევებს, ხოლო მეორე მხრივ, სრულ შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

კახეთის პოლიციამ ახმეტაში მომხდარი დაჭრის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახმეტის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული ზ.ც. დააკავეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ახმეტაში, ურთიერთშელაპარაკებისას, 1983 წელს დაბადებული ი.ქ., ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ზ.ც. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ახმეტაში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 118-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს.

ბასილაშვილმა ტურნირი და BMW მოიგო

მიუნხენში გამართული საჩოგბურთო ტურნირი ნიკა ბასილშვილის გამარჯვებით დასრულდა. ჩვენებურმა ფინალში, მასპინძელთა ჯილას, იან-ლენარდ შტრუფს 6:4, 7:6 სძლია და 2021 წელს, უკვე მეორე ტურნირის გამარჯვებული გახდა. ნიკამ მარტში, დოჰას ტურნირის ფინალში, ესპანელ რობერტო ბაუტისტა აგუტს სძლია და პოლონელ რობერტ ჰურკაჩთან ერთად, ერთადერთი ჩოგბურთელია, ვისაც წელს, ATP-ს 2 ტურნირი აქვს მოგებული.

„იან-ლენარდ, ბოდიში, რომ ყველაფერი ასე დასრულდა, რიგ ეპიზოდებში იღბალი ჩემს მხარეს იყო და თამაშის ბედი ამან გადაწყვიტა. მადლობა ტურნირის ორგანიზატორებს, რომელთაც ყველაფერი ჩინებულად წარმართეს. მადლობა ჩემს ძმას, რომელიც აქ, ჩემი ყველაზე ერთგული მხარდაჭერი იყო. იმედი მაქვს, მომავალშიც ყველაფერი ასე კარგად გაგრძელდება“, – განაცხადა მატჩის შემდგომ ბასილაშვილმა.

ქართველმა ჩობურთელმა მიუნხენის ტურნირის მოგებით, საპრიზო 41 145 ევრო გამოიმუშავა და ამასთან ერთად, ჯილდოდ 2021 BMW M Models M8 Gran Coupe მიიღო.

დაწყვილდა: საქართველო რუსეთის წინააღმდეგ

29 აპრილს, გერმანიის ქალაქ ბერლინში, კალათბურთში ევროპის 2022 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართა. მოგეხსენებათ, კონტინენტის პირველობა 2022 წლის 1-18 სექტემბერს, ოთხ ქვეყანაში ჩატარდება. ეს ქვეყნები გახლავთ: გერმანია (კიოლნი), საქართველო (თბილისი), ჩეხეთი (პრაღა) და იტალია (მილანი). კენჭისყრის შედეგად, ფინალურ ეტაპზე გასული ნაკრებები ექვს კალათაში გადანაწილდნენ:

A ჯგუფი – საქართველო, თურქეთი, ესპანეთი, რუსეთი, ბელგია, ბულგარეთი;

B ჯგუფი – გერმანია, ლიეტუვა, საფრანგეთი, სლოვენია, უნგრეთი, ბოსნია-ჰერცოგოვინა;

C ჯგუფი – იტალია, ესტონეთი, საბერძნეთი, უკრაინა, ხორვატია, დიდი ბრიტანეთი;

D ჯგუფი – ჩეხეთი, პოლონეთი, სერბეთი, ფინეთი, ისრაელი, ნიდერლანდები.

შეიძლება ითქვას, საქართველო ერთ-ერთ უძლიერეს ჯგუფში მოხვდა და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მთავარი მატჩიც სწორედ ამ ჯგუფში გვექნება – ჩვენთან ერთად, რუსეთი ასპარეზობს. აღნიშნულ თემაზე, რუსეთში, კალათბურთის სფეროში ყველაზე გავლენიანმა და ავტორიტეტულმა კაცმა, ვლადიმირ გომელსკიმ კომენტარი გააკეთა და...

„ეს ისეთი ჯგუფია, საიდანაც შემდეგ ეტაპზე, ოთხი მოგებით შეიძლება გასვლა. ესპანეთი და თურქეთი ძლიერი გუნდებია. ბელგია და რუსეთი – კარგი გუნდები. საქართველოს საკუთარი მოედნის უპირარტესობა გააჩნია, თუმცა ციდან ვარსკვლავებს ვერ წყვეტს“, – აღნიშნა მან.

ქართველებმა UFC-ში თანხა და თამასა ასწიეს

წესების გარეშე მებრძოლთა კლუბში, ქართველები ნელ-ნელა რომ მკვიდრდებიან, კარგად მოგეხსენებათ. გასულ კვირას, საინტერესო ორთაბრძოლები გაიმართა და მათ შორის ჩვენთვის მნიშვნელოვანი, მერაბ დვალიშვილისა და გიგა ჭიკაის ასპარეზობა იყო. თანაც, ორივე ჩვენებურს მეტოქედ გამოცდილი მოწინააღმდეგეები ჰყავდა. საბედნიეროდ, ორივე ქართველმა დამაჯერებლად იმარჯვა – თუ დვალიშვილს მოგება მსაჯებმა უპირატესობის გამო მიანიჭეს, ჭიკაძემ მეტოქე დაანოკაუტა და შეხვედრა პირველივე რაუნდში დაასრულა. ის, რომ ორივე ჩვენებური UFC-ში ანგარიშგასაწევი მებრძოლია, აღარავინ მალავს.

ქართველი მებრძოლების ასპარეზობა ფინანსურადაც შესაბამისად დაფასდა – მერაბ დვალიშვილმა ამ მოგებით 130 000 დოლარი გამოიმუშვა, აქესან 60 ათასი – მონაწილეობისთვის, 60 ათასი – მოგების ბონუსი, ხოლო 10 ათასი – სპონსორებისგან შესული თანხა. რაც შეეხება ჭიკაძეს, მან რეკორდული, ყველაზე მეტი თანხა გამოიმუშვა, რაც აქამდე ქართელი მებრძოლისთვის გადაუხდიათ UFC-ში. გიგამ 276 000 დოლარი მიიღო, აქედან 110 000 – გარანტირებული, 100 000 – მოგების ბონუსი, 16 000 – სპონსორობის, ხოლო 50 000 – საღამოს ბონუსი.

„ყველაზე უადგილო მომენტი და ყველაფერი დასრულებულია...“

სწორედ ეს ხუთი სიტყვა დაწერა სოციალური ქსელის საკუთარ გვერდზე ევროპის, მსოფლიო და მოქმედმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა. არადა, ყველამ ვიცოდით, რომ 6-9 მაისს, ლადოს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გასამართ ტურნირზე უნდა ეჭიდავა, სადაც სალიცენზიო ქულები და შესაბამისად, ოლიმპიადის საგზური უნდა მიეღო, მაგრამ...

როგორც გაირკვა, ტურნირის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, ხინჩეგაშვილს კორონავირუსი დაუდგინდა და ტურნირზე მისი წასვლა გამოირიცხა. შესაბამისად, გამოირიცხა სალიცენზიო ქულების მოპოვება და ოლიმპიადის საგზურიც. არადა, ლადო მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონია და საკუთარ წონაში ფავორიტადაც მიიჩნეოდა, თუმცა... 30 წლის სპორტსმენს, კიდევ ოთხი წელი უმაღლეს დონეზე ჭიდაობა და მომდევნო ოლიმპიადისთვის მზადება ძალიან გაუჭირდება.

„ეს მხოლოდ ხელოვნება არაა, ეს უნიკალური არტთერაპიაა!“

ია გრიგალაშვილი



წელს, ნიუ იორკის სახელოვნებო ბაზრობაზე, საქართველოს ტიხრული მინანქრის ოსტატი ციალა გიგაური წარადგენს

წელს, ნიუ იორკში, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი და პრესტიჟული სახელოვნებო ბაზრობა – „არტექსპო ნიუ იორკი“ იმართება. როგორც წესი, არტბაზრობაზე 500-ზე მეტი გალერეაა წარდგენილი და დამთვალიერებელთა რაოდენობა ასეულობით ათასს აღემატება. ხელოვანი ადამიანები მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან, მათ შორის, საქართველოდანაც თავიანთ ხედვას, სტილსა და მიმდინარეობას უზიარებენ მაყურებელს.

„Art Expo New York“ – ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სავაჭრო შოუ, რომელმაც 41 წლის განმავლობაში, უამრავ მხატვარს უმასპინძლა. ეს არის უსაზღვროდ მნიშვნელოვანი სივრცე, სადაც ხელოვანებს, გალერეებს, მყიდველებს, კერძო კოლექციონერებსა და კურატორებს შეუძლიათ სახელოვანი თუ დამწყები მხატვრების ნამუშევრების გაცნობა და შეძენა. ამასთან, ხელოვანებს საშუალება აქვთ, თავიანთი შემოქმედება წარმოაჩინონ და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება შეძლონ. „არტექსპოზე“ არის გარკვეული ჯგუფი – exhibitor (წარმდგენი), რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელი გახლავთ ნათია მალაზონია, აშშ-ში მოღვაწე ქართველი მხატვარი და ასევე, ორგანიზატორი მხატვართა ჯგუფისა, რომელთანაც ის და „არტექსპოს“ ჯგუფი გადაწყვეტს თანამშრომლობას. მან ხაზგასმით გამოჰყო რამდენიმე მხატვრის სტილი და ხელწერა, რომელთაგან ერთ-ერთია ციალა გიგაური – ხელოვანი და ტიხრული მინანქრის ოსტატი. ციალა გიგაურის ნამუშევრებმა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა, როდესაც გამოფენისთვის, სხვადასხვა მხატვარს არჩევდნენ. ციალას ტრადიციული თემატიკა აქვს არჩეული, რაც მის შემოქმედებაში, ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

„ვერსია“ გთავაზობთ ინტერვიუს ციალა გიგაურთან, რომელიც „არტექსპო ნიუ-იორკზე“, ნამუშევრებს საქართველოს სახელით წარადგენს:

– „ნიუ იორკ ექსპოზე“ გამგზავრება ჩვენი ქვეყნისა და ხელოვანთათვის ძალიან მნიშვნელოვანია. გამოფენას უამრავი ადამიანი სტუმრობს, შესაბამისად, ეს პროექტი ცნობადობას კიდევ უფრო აგვიმაღლებს. გამოფენის ოფიციალური გახსნა 18-21 ნოემბერსაა დაგეგმილი.

– ხელოვნებისადმი ინტერესი როდის და რატომ გაგიჩნდათ?

– წარმოშობით ხევსურეთიდან ვარ, მშობლები იქ იყვნენ დაბადებულნი. მე კი კახეთში დავიბადე – მოგეხსენებათ, ხევსურები კახეთში ჩაასახლეს. ქარგვა და ქსოვა ბებიამ მასწავლა. პაპა ხევსურეთში ცნობილი ოქრომჭედელი იყო. ბავშვობიდან დიდი ინტერესი მქონდა ხელსაქმის მიმართ. როცა ბებია ფარდაგებს ქსოვდა, სულ ვეხმარებოდი და ვცდილობდი, მისგან ბევრი მესწავლა, თუმცა პროფესიის არჩევისას, ხელოვნების სფეროსკენ ვერ წავედი, რადგან უმაღლესში 1989 წელს ვაბარებდი, მაშინ საკმაოდ რთული პერიოდი იყო – არ არსებობდა შემოსავლის წყარო, რომ რაიმეს დასახატად, ფურცლები მაინც გვეყიდა. ამიტომ ჩავაბარე აგრარულ უნივერსიტეტში და მერე, სანამ ოჯახს შევქმნიდი, გარემოს დაცვის სამინისტროში ვმუშაობდი. პარალელურად, ხელნაკეთ ჩანთებსა და სამაჯურებსაც ვამზადებდი, რომელთაც მაღაზიაში ვაბარებდი.

– ძირითადად, როგორი სახისა და ტექნოლოგიის ნამუშევრებს ამზადებთ?

– ახლა, ძირითადად, ტიხრულ მინანქარზე, ვერცხლსა და ოქროზე ვმუშაობ. ვამზადებ სამკაულებს, რომლებიც გამოფენებსა და საიუველირო მაღაზიებში იყიდება. ადრე ვქარგავდი და ხელნაკეთ აქსესუარებს ვამზადებდი.

– ტიხრულ მინანქარზე მუშაობა როდის დაიწყეთ?

– მიუხედავად იმისა, რომ დაოჯახების შემდეგ, აქტიურად აღარ ვიყავი ხელოვნების სფეროში ჩართული, ბოლომდე თავი არასოდეს დამინებებია. სულ ვდარდობდი, რომ პაპის შთამომავლობით გადმოცემული ნიჭი უყურადღებოდ რჩებოდა. ჩემი შვილები რომ წამოიზარდნენ, ტიხრული მინანქრის შესწავლა გადავწყვიტე. ზედაპირული ცოდნა მქონდა, ამიტომ ერთი წელი, ტიხრული მინანქრის სახელოსნოში, დამზადების ტექნოლოგიას ვსწავლობდი. 2015 წლიდან, საიუველირო სალონებთან თანამშრომლობა დავიწყე.

– ერთი სამკაულის დამზადებას რა დრო სჭირდება?

– ტიხრული მინანქრით სულ პატარა ნივთის დამზადებას ორი დღე სჭირდება. ჯერ ფირფიტა უნდა დამუშავდეს, შემდეგ ტიხრები დამზადდეს, მერე ფერები და ბოლოს გაპრიალებაა საჭირო.

– გამოფენებში ხშირად მონაწილეობთ?

– დიახ, საკმაოდ ხშირად. მხატვართა კავშირის, საქართველოს მქარგველებისა და ხელმარჯვეების ასოციაციის წევრი ვარ. 11 გამოფენაში მაქვს მონაწილეობა მიღებული. შარშან, საბერძნეთში ვიყავით მიწვეულნი, სამწუხაროდ, კოვიდის გამო, ვიზიტი გადაიდო. ასევე, 2020 წელს, ონლაინგამოფენაში – „ეთნო ფესტი“ მივიღე მონაწილეობა. ილიაუნის „ფაბლაბთან“ არის პროექტი, რომელიც თანამედროვე რეწვის ინდუსტრიაში ნაკეთობების შექმნის ინოვაციური ფორმებისა და მეთოდების დანერგვას ემსახურება; ეს პროგრამა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებსა და ციფრულ დიზაინერებს შორის თანამშრომლობასაც უწყობს ხელს.

– მოსწავლეებიც გყავთ, ხომ?

– დიახ, ხელშეკრულება მაქვს „ვორლდ ვიჟენთან“ და სტუდენტებს ხელსაქმეს ვასწავლი.

– შეკვეთებს ხშირად იღებთ?

– საზღვარგარეთ მცხოვრები ადამიანებისთვის, სასაჩუქრედ, სამკაულებს ხშირად მიკვეთავენ. წელს დიდი შეკვეთა მქონდა აშშ-ში მცხოვრები ოჯახისთვის. აქ, ძირითადად, ტურისტებზე ვმუშაობდით. თუ საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისთვის მიკვეთავენ, აქტუალურია საქართველოს რუკისა და დროშის ფორმა, ასევე, ბროწეულის. უცხოელები კი ყველაზე დიდ მნიშვნელობას ფერებს ანიჭებენ.

– გიწყობთ თუ არა სახელმწიფო ხელს, ნამუშევრების რეალიზაციაში?

– გვერდში გვიდგას საქართველოს რეწვისა და განვითარების ასოციაცია. გვეხმარებიან გამოფენებში მონაწილეობასა და რეკლამირებაში. მერია, ძირითადად, დღესასწაულებზე გვაძლევდა საშუალებას, უფასოდ წარგვედგინა ნამუშევრები. სამწუხაროდ, კორონავირუსმა უკან დაგვხია – ბევრი მაღაზია დაიკეტა და გაყიდვებიც შეფერხდა.

საერთოდ, სამკაულებისა და ხელოვნების სხვა ნიმუშების შექმნა ძალიან დიდი ბედნიერებაა. ეს პროცესი ჩემთვის საოცარ ემოციებთანაა დაკავშირებული. ამ დროს მგონია, რომ ახლოს ვარ ბუნებასა და ყველა იმ სილამაზესთან, რაც უფალმა დედამიწაზე გვიბოძა. თუ სამუშაო პროცესში, ვინმე ხელს მიშლის, ძალიან ვბრაზდები. მთელი გონებითა და გულით ვარ ჩართული საქმიანობაში და არ მინდა, მოვწყდე ხოლმე. ჩემთვის ეს განტვირთვაა და ბევრისთვის მითქვამს, რომ ეს მხოლოდ ხელოვნება არ არის. ეს უნიკალური არტთერაპიაა. მოგეხსენებათ, თითების ბალიშებზე ნერვული დაბოლოებებია და ეს პროცესი საკმაოდ ამშვიდებს ნერვულ სისტემას, რადგან ამ დროს, სხვა არაფერზე ფიქრობ, თუმცა ფიქრი თუ გაგექცა, ნამუშევარიც გაფუჭდება, ამიტომ ყველას ვურჩევ, დამწყების დონეზე მაინც შეისწავლოს ხელსაქმე.

– რა გაძლევთ ინსპირაციას და თქვენი განწყობა თუ აისახება ნამუშევრებზე?

– რა თქმა უნდა, ჩემი განწყობა ნამუშევრებზე ასახულია. ძირითადად, ინსპირაციას ტრადიციული კულტურა და ჩემი წარმომავლობის – ხევსურული ხასიათი და თავისებურებები მაძლევს.

– რას ურჩევთ დამწყებ ხელოვანებს?

– პირველ რიგში, გააანალიზონ, ბედნიერებას მიანიჭებთ თუ არა ეს საქმე. შემდეგ, კარგად შეარჩიონ პედაგოგი, რომელმაც სწორი მიმართულებით უნდა დაანახოს მოსწავლეს თავისი შესაძლებლობები. თუ სწორი გზით წახვედი, მერე ყველაფერი მარტივია და იდეებიც თავისით მოვა. პედაგოგმა მარტო ხელოვნების ნიმუშის შექმნა-დამზადება კი არა, ისტორია და ფერებიც უნდა ასწავლოს. სანამ კოვიდია და, ასე თუ ისე, ჩაკეტილები ვართ, ეს დრო სათავისოდ გამოიყენონ და რაც შეიძლება, მეტი ისწავლონ.

– რა გეგმები გაქვთ?

– ძალიან მინდა ხევსურეთში გავაკეთო ჩემი სამუშაო კაბინეტი. ასევე, ვაპირებ, ხშირად მივიღო მონაწილეობა სხვადასხვა გამოფენაში, რათა ჩემი ცოდნა და ხელოვნებისადმი სიყვარული მომავალ თაობას გავუზიარო.

„ჭკვიანი“ სამაჯური მავნე საკვების წინააღმდეგ

ამერიკულმა კომპანიამ Behavioral Technology, სამაჯური გამოუშვა სახელად – Pavlok, რომელიც მავნე საკვებისადმი მიზიდულობას დაგაძლევინებთ. გაჯეტს ეს სახელი, ცნობილი რუსი მეცნიერის, ივან პავლოვის პატივსაცემად უწოდეს, რომელიც პირობითი და უპირობო რეფლექსების თეორიის ფუძემდებელია. სწორედ ამ რეფლექსებზეა დაფუძნებული სამაჯურის მუშაობის პრინციპიც. ყოველ ჯერზე, როცა ადამიანს პირთან მიაქვს ხელი და რაიმე აკრძალულის შეჭმას აპირებს. გაჯეტი მის მფლობელს, მაშინვე 350-ვოლტიანი სიძლიერით, დენს არტყამს. დენის დარტყმა უსაფრთხოა და ძლიერი არაა, მაგრამ საკმარისია იმისთვის, რომ უსიამოვნო ემოციების მდგრადი ასოციაცია შექმნას. ნელ-ნელა, ადამიანს გამოუმუშავდება კავშირი მავნე საკვებსა და მის შემდგომ ტკივილზე, რის გამოც შეეცდება, თავიდან აირიდოს ეს სასჯელი. შედეგად კი ნაკლებად შეჭამს ფასტფუდსა და სხვა მავნე საკვებს. თუკი ადამიანს გახდომის სურვილი აქვს, სამაჯურზე, მას წინასწარ შეუძლია, მოხმარებული კალორიების ნორმა დააყენოს და მისი გადაჭარბებისას, გაჯეტი ელექტროდარტყმებს არ „დაიშურებს“. „ჭკვიანი“ სამაჯური ანალოგიურად დაეხმარება ადამიანს სხვა მავნე ჩვევების (მაგალითად, მოწევის) გადაგდებაშიც. ახალი გაჯეტის საფასური 199 დოლარია.

ყველაზე სულელი დამნაშავე

ავსტრიელმა სამართალდამცავებმა ცნობისმოყვარე და წარმოუდგენლად სულელი დამნაშავე დააკავეს, რომელიც თავად მივიდა პოლიციის განყოფილებაში იმის გასაგებად, იყო თუ არა მასზე ძებნა გამოცხადებული. 59 წლის მამაკაცი, რომლის სახელიც არ ხმაუდება, გვიან საღამოს მივიდა განყოფილებაში და სამართალდამცავს სთხოვა შეემოწმებინა, იყო თუ არა ძებნილთა სიაში მისი სახელი და გვარი. პოლიციელებმა იფიქრეს, რომ კაცი თუ დამნაშავე იყო, საკუთარი ფეხით მათთან არ მივიდოდა, თუმცა მონაცემთა ბაზაში შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მასზე ვენის სასამართლოს ორდერი იყო გაცემული. მამაკაცს ბრალად ედებოდა ფინანსური თაღლითობის რამდენიმე მცდელობა და სხვისი ქონების მითვისება. ავსტრიელი, რომელსაც პოლიციელებმა „ყველაზე შტერი დამნაშავე“ უწოდეს, ადგილზევე დაკავეს და ადგილობრივ ციხეში გადაიყვანეს.

კონტაქტური ლინზები მასშტაბირების ფუნქციით

კალიფორნიისა და ხარბინის ტექნოლოგიური ინსტიტუტების სწავლულებმა უნიკალური კონტაქტური ლინზები შექმნეს, რომელიც საშუალებას იძლევა, თვალის ერთი მოძრაობით, გამოსახულების მასშტაბი შეცვალოს. სურათის გასადიდებლად ან დასაპატარავებლად, მომხმარებელმა მხოლოდ თვალი უნდა დაახამხამოს. გამოგონების მუშაობის პრინციპი ელექტროოკულოგრაფიას ეფუძნება. ყოველ ლინზას ხუთი ელექტროდი უერთდება, რომლებიც თვალის მოძრაობისას წარმოქმნილ ელექტრულ სიგნალს იღებენ. ელექტროდები თვალის კუნთის მსგავსად მოქმედებენ. ახალ კონტაქტურ ლინზებს შეუძლია, ფოკუსის მანძილი 32%-ის ფარგლებში ცვალოს. სპეციალისტების თქმით, ეს მხოლოდ ადამიანის თვალს შეუძლია.

ჭამეთ პური და გახდით

როგორც ესპანელი დიეტოლოგები ამტკიცებენ, გასახდომი დიეტის დაცვის დროს, პურზე უარის თქმა არაფრით არ შეიძლება. პირიქით, მისი წყალობით, გახდომის პროცესი უფრო ეფექტური იქნება. მადრიდის ლაპასის კლინიკის მედიკოსებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომელშიც 122 ჭარბწონიანი ქალი მონაწილეობდა. მოხალისეები ორ ჯგუფში გადაანაწილეს, თითოეული მათგანი, დღის განმავლობაში, მხოლოდ 1.5 ათას კალორიას იღებდა და ფიზიკურ ვარჯიშებს ასრულებდა. ერთი ჯგუფის წევრები კი პურსაც მიირთმევდნენ. ექსპერიმენტი 16 კვირის განმავლობაში გაგრძელდა. შედეგად გაირკვა, რომ ყველა მონაწილემ წონაში თანაბრად დაიკლო, თუმცა ისინი, რომლებიც პურს მიირთმევდნენ, ემოციურად უფრო გაწონასწორებულები და მშვიდები იყვნენ, ვიდრე ის ქალები, რომელთაც მასზე უარი თქვეს. ამ უკანასკნელებისთვის დიეტის პროცესი უფრო მტანჯველი აღმოჩნდა, რაც მათ ფსიქიკურ მდგომარეობაზეც აისახა.

ნახატებს წყალქვეშ ქმნის

წყალქვეშა სამყარო იდეალური ადგილია შთაგონებისთვის, ყოველ შემთხვევაში, ასეა კუბელი მხატვრის, სანდორ გონსალესისთვის. ფერად-ფერადი თევზებისა და მარჯნების სამყაროში, ის უჩვეულო სურათებს ქმნის. 42 წლის კუბელი, მხატვრობით 6 წლის წინ დაინტერესდა. სულ მალე, მისმა შავ-თეთრმა ნახატებმა წყალქვეშა სამყაროს შესახებ, პოპულარობა მოუტანა არა მხოლოდ სამშობლოში, არამედ, მის ფარგლებს გარეთაც. გონსალესი მოლბერტს წყლის ფსკერზე, 6 მეტრის სიღრმეზე ამაგრებს და წყალგაუმტარი ვინილის ტილოზე ხატავს. როგორც თავად ამბობს, სურათის სიუჟეტი წინასწარ მოფიქრებული არ აქვს, შთაგონება მერე, უკვე წყალში მოდის.

ფასტფუდი იმუნურ სისტემას ანგრევს

გერმანელი სწავლულების მიერ ჩატარებულმა ახალმა კვლევებმა ცხადჰყო, რომ ფასტფუდი ნეგატიურად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე და მისი იმუნური სისტემის მუშაობას არღვევს. ბონის უნივერსიტეტის ექსპერტების თქმით, იმუნური სისტემა ისევე რეაგირებს მაღალკალორიულ და დიდი რაოდენობით ცხიმის შემცველ მავნე პროდუქტებზე, როგორც ბაქტერიულ ინფექციებზე და ორგანიზმის დაცვას ააქტიურებს. ერთი შეხედვით, თითქოს, ეს კარგიცაა, მაგრამ გამუდმებით ასეთი დაძაბული მდგომარეობა იწვევს ანთებას, რაც შესაძლოა, ისეთი დაავადებების განვითარების მიზეზი გახდეს, როგორებიცაა დიაბეტი და ათეროსკლეროზი. გარდა ამისა, იმუნური სისტემა მაშინაც კი აგრძელებს ანალოგიურად მოქმედებას, როცა ადამიანი კვების ჯანსაღ რაციონზე გადადის. ეს იმას უკავშირდება, რომ თანდაყოლილ სისტემას თავისებური მეხსიერება აქვს.

ვაქცინაციაზე საჩუქრებით იზიდავენ

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, კორონავირუსის ვაქცინაციაზე ასაცრელად, ხალხს სხვადასხვა მეთოდებით იზიდავენ. ზოგან ჯარიმებია, ზოგან კი პროდუქტებსა და ფასდაკლების კუპონებს ურიგებენ, ან დამატებით დასვენების დღეებს სთავაზობენ. მაგალითად, ჩინეთში, ამისთვის საჩუქრები აირჩიეს. ქალაქების მიხედვით, ვაქცინირებულებს ხელსახოცებს, კვერცხს, ფქვილს, ხორცსა და სხვა პროდუქტებს ურიგებენ. ინდოეთში, კორონაზე აცრილებს არა მხოლოდ პროდუქტებს ჩუქნიან, არამედ, პირსინგებს ცხვირისთვის, ბლენდერებს და ფასდაკლების ვაუჩერებსაც – ავტომანქანის რემონტისთვის. დელის ხელისუფლებამ კი ვაქცინირებულებისთვის გადასახადების შემცირების გადაწყვეტილებაც მიიღო. შეერთებულ შტატებში, ამ აქციაში კერძო ბიზნესიც ჩაერთო: ერთ-ერთი საკონდიტრო, საკუთარ კლიენტებს, რომლებიც კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით აიცრებიან, უფასო ღვეზელს სთავაზობს მთელი წლის განმავლობაში, მარიხუანას მკურნალობის ცენტრმა კი პაპიროსის დარიგება დაიწყო. აი, ინდონეზიის მთავრობამ მათრახის პრინციპი აირჩია – აქ, აცრაზე უარის შემთხვევაში, მოქალაქეებს ჯარიმა, ან სოციალური შემწეობის დაკარგვა ელით.

მწეველებს კიბოსგან მოცვი დაიცავს

მოცვი, ვაშლი და ბროკოლი შესანიშნავი საშუალებებია, რათა მწეველმა ადამიანებმა სიმსივნისგან თავი დაიცვან – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ავსტრალიელი სპეციალისტები. ფლავანოიდებით მდიდარი ეს პროდუქტები, ნიკოტინზე დამოკიდებულ ადამიანებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისგანაც დაიცავს. სწავლულების ექსპერიმენტში 56-დან 60 წლის ასაკამდე, 55 ათასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. მონაცემების გაანალიზებით მკვლევარებმა დაადგინეს, რომ სიმსივნით დაავადების რისკს ჩაი და ფორთოხალიც აქვეითებს.

საჩუქრების მოყვარული თაღლითი დააკავეს

იაპონიაში, ქალაქ ოსაკაში, 39 წლის მამაკაცი ტაკასი მიიაგავა, 35 ქალის მიმართ ჩადენილი თაღლითობისთვის დააკავეს. ის, თითქოსდა, ყოველი მათგანის შეყვარებული იყო. არადა, არცერთს აზრადაც არ მოსვლია, რომ შეიძლება მამაკაცისთვის ერთადერთი არ ყოფილიყო. თუმცა საბოლოოდ, სიმართლე მაინც გამჟღავნდა და ქალებმა კავალერს პოლიციაში უჩივლეს. როგორც გაირკვა, ასეთ ავანტიურაზე, მამაკაცი საჩუქრების გამო წავიდა, რომელსაც მას დაბადების დღეზე ჩუქნიდნენ. დაბადების დღეც წელიწადში, რასაკვირველია, 35-ჯერ ჰქონდა. ამგვარად, ის „გულის სწორებისგან“ საჩუქრებსა და ფულს იღებდა. ჯერჯერობით, ამ საქმეში მხოლოდ 35 დაზარალებული ფიგურირებს, თუმცა არ არის გამორიცხული, მათი რიცხვი უფრო მეტი იყოს.

მანქანებს დასაძინებლად ქირაობენ

იაპონიაში, ქარშერინგის (მანქანების გაქირავების) უდიდესმა ოპერატორებმა – Times24 და Orix, მოულოდნელად აღმოაჩინეს, რომ მათთან იზრდება ისეთი კლიენტების რაოდენობა, რომლებიც რეგულარულად ქირაობენ ავტომანქანებს, მაგრამ არსად მიდიან, ადგილიდანაც კი არ ძრავენ მათ. კომპანიებში ეს საკმაოდ უცნაურად მოეჩვენათ და გადაწყვიტეს გამოერკვიათ, რაში სჭირდებათ ამ ადამიანებს მანქანები. აღმოჩნდა, რომ ყოველი მერვე იაპონელი, ქარშერინგს გადაადგილებისთვის კი არა, სულ სხვა მიზნებისთვის იყენებს. ყველაზე ხშირად, მანქანებს დასაძინებლად ან უბრალოდ, დასასვენებლად ქირაობენ. ზოგი მას შემნახველი კამერის ნაცვლად – ჩანთებისა და პირადი ნივთების შესანახად იყენებს. ზოგი იაპონელი კი ამჯობინებს, ნოუთბუქით მანქანაში დაჯდეს წყნარად, ვიდრე კაფეში. აღმოჩნდნენ ისეთი მოქალაქეებიც, რომლებიც ნაქირავებ ავტოებში სადილობდნენ – საჭმელად სასადილოში ან კაფეში წასვლის ნაცვლად, უახლოეს მაღაზიაში ყიდულობენ მზა საკვებს და ავტომობილში მიირთმევენ.

რეკორდსმენი სამსახურის გაცდენაში

იტალიაში, საავადმყოფოს თანამშრომელმა, რომელიც მედიამ უკვე მონათლა "გაცდენების მეფედ", ეროვნული რეკორდი მოხსნა – 15 წლის განმავლობაში, ის სამსახურში არ დადიოდა, მაგრამ ხელფასს იღებდა. ამ ხნის განმავლობაში, მას ნახევარ მილიონ ევროზე მეტი – 538 ათასი ევრო გადაუხადეს. ქალაქ კატანძაროს Pugliese Ciaccio-ის საავადმყოფოს შტატიანი თანამშრომელი, სამსახურში 2005 წლიდან აღარ გამოჩენილა. ის კლინიკის დირექტორს დაემუქრა, რათა არ განეცხადებინა მისი გაცდენების შესახებ შესაბამის ორგანოებში. მოგვიანებით, დირექტორი პენსიაზე გავიდა, თანამშრომლის არყოფნა არ შეუმჩნევიათ არც მის შემცვლელს და არც მედპერსონალს. მამაკაცი ახლა 67 წლისაა. მას ბრალად ედება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, დოკუმენტების გაყალბება და გამომძალველობა. გარდა ამისა, ამ საქმეზე გამოძიება, საავადმყოფოს ექვსი მენეჯერის წინააღმდეგაც მიმდინარეობს.

სპილბერგმა ცნობილი მიუზიკლი გააცოცხლა

წელს დაგეგმილ კინოპრემიერებს შორის, ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული პროექტია სტივენ სპილბერგის ახალი ფილმი – West Side Story („ვესტსაიდური ამბავი“). ამჯერად, ცნობილი რეჟისორი ერთგულ მაყურებელს მასშტაბურ მიუზიკლს შესთავაზებს – მან 1957 წლის ბროდვეის ცნობილი სპექტაკლი, ეკრანებზე, ხელახლა გააცოცხლა. ამ სახელგანთქმული წარმოდგენის პირველი ეკრანიზაცია 1961 წელს გამოვიდა. ჯერომი რობინსმა და რობერტ უაიზმა, ამავე სახელწოდების ფილმი გადაიღეს, რომელმაც ათი „ოსკარი“ მოიპოვა. „ვესტსაიდური ამბავი“, ერთდროულად, სასიყვარულო და კრიმინალური ისტორიაა, რომელიც მთლიანად ახალგაზრდების ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს. მთავარ როლებს ენსელ ელგორტი (ტონი) და რეიჩელ ზეგლერი (მარია) – ნიუჯერსელი უფროსკლასელი ასრულებენ. მიუზიკლის პრემიერა, კორონავირუსის პანდემიის გამო, შარშან, საშობაოდ უნდა შემდგარიყო, თუმცა ერთი წლით გადაიდო და მაყურებელი მას დეკემბერში იხილავს.

იაპონელების დღეგრძელობის საიდუმლო გაშიფრეს

ამომავალი მზის ქვეყნის მაცხოვრებლების სიცოცხლის ხანგრძლივობა, სხვა ხალხებთან შედარებით მეტია, რაც მათი კვების განსაკუთრებული სისტემის დამსახურებაა. საშუალოდ, იაპონელები 84 წელს ცოცხლობენ. ქვეყნის ყველაზე უხუცესი ადამიანი 1903 წელს დაიბადა. აღსანიშნავია, რომ მათ მაინცდამაინც არ უყვართ სპორტი, მაგრამ ახერხებენ კვების ისეთი სისტემის ფორმირებას, რომლითაც ჯანმჯრთელობასა და ტონუსს ინარჩუნებენ. იაპონელების კვების პირველი წესი მრავალფეროვნებაა. ყოველი ჭამისას, მენიუშია: ხორცი, ბოსტნეული, თევზი, ბრინჯი და ხილი. მეორე წესია საკვების ნელა დაღეჭვა, რაც საშუალებას იძლევა, ნაკლები მიირთვან და საკვების გემოც კარგად შეიგრძნონ. გარდა ამისა, იაპონელები საკვებს ძალიან არ ამუშავებენ. შემწვარს იშვიათად ჭამენ, პროდუქტს ძირითადად ორთქლზე ამზადებენ, ან ხარშავენ. მეოთხე წესი, რომელსაც იაპონელები მისდევენ, ასეთია – სჯობს, თევზი ან ზღვის პროდუქტები მიირთვა, ვიდრე ხორცი, რადგან მასში საკმაოდ ბევრია ჯანმრთელობისთვის მავნე ელემენტები, რაც სხვადასხვა ქრონიკულ დაავადებებს იწვევენ.

თანამედროვე რობინზონს კუნძულიდან ასახლებენ



81 წლის იტალიელი მამაკაცი მაურო მორანდი, რომელიც ბოლო 32 წელია, კუნძულ ბუდელიზე მარტოდმარტო ცხოვრობს, იძულებულია, იქიდან წავიდეს. ბუდელი არქიპელაგ ლა-მადალენას შემადგენლობაში შედის. დიდი ხანია, აქ არსებული ეროვნული პარკის ხელმძღვანელობა სენიორ მორანდის გასახლებას ცდილობდა, არც მუქარებს აკლებდა და როგორც იქნა, საწადელს მიაღწია – მამაკაცი მეზობელ კუნძულზე, პატარა ბინაში გადასახლდება. პარკი საკუთრებაში დაიბრუნებს იმ სახლს, წლების მანძილზე, მორანდი ცხოვრობდა. შენობა ზღვის ნაპირას დგას და ის მეორე მსოფლიო ომისდროინდელ თავშესაფარს წარმოადგენს. ბუდელი კუნძულ სარდინიას სანაპიროებთან მდებარეობს და თავისი ვარდისფერქვიშიანი პლაჟებითაა ცნობილი. ფიზკულტურის ყოფილი მასწავლებელი მაურო, იქ 1989 წელს დასახლდა და მას შემდეგ იქაურობას პატრონობდა: ასუფთავებდა ბილიკებს, პლაჟებს და ტურისტებს ბუდელის ეკოსისტემაზე უყვებოდა. ბოლო წლებში, იტალიელი „რობინზონ კრუზოს“ მხარდასაჭერად რამდენიმე პეტიცია შეიქმნა, ათასობით ხელმოწერა შეაგროვეს და სოციალურ ქსელებშიც აქტიურობდნენ, თუმცა ეროვნული პარკის ხელმძღვანელობამ მამაკაცი მაინც აიძულა, კუნძული დაეტოვებინა.

სიმდიდრის სიმბოლოდ ხეები იქცა

აშშ-ში ახალი ტრენდი იკრებს ძალას, რომელიც მაღალი სტატუსისა და სიმდიდრის დასტურია – საკუთარ ვილაზე მაღალი, ასაკოვანი, მაგრამ ჯანმრთელი ხის არსებობა. შეძლებულ ადამიანებს არ სურთ, წლები ელოდონ, თუ როდის მიაღწევენ დიდ ზომებს ახალი ნარგავები, ამიტომ 250 ათას დოლარს და მეტსაც იხდიან, რათა "მზა" ხეები ვერტმფრენებით, ბარჟებითა თუ სატვირთოებით საკუთარ ეზოებამდე მიიტანონ. "დისნეილენდებში" უამრავ ასეთ ხეს ნახავთ – კომპანია Walt Disney, უკვე დიდი ხანია, ამ საქმითაა დაკავებული და თემატურ პარკებს ხეების იშვიათი ეგზემპლარებით ამრავალფეროვნებს.

ეს იდეა კერძო პირებმაც აიტაცეს. ფლორიდაში, მსურველებს, ასეთ მომსახურებას კომპანია Green Integritys სთავაზობს და ბოლო წლებია, შეკვეთებს ვეღარ აუდის. მის კლიენტებს შორის იყვნენ ენრიკე იგლესიასი და სხვა ბევრი ცნობილი ადამიანი. კომპანიის მფლობელის თქმით, სტატუსის ტრადიციული სიმბოლოები – ავტომობილები თუ საათები მდიდრებს უკვე მობეზრდათ. ახლა თავის წარმოჩენა უნიკალური ხეებით სურთ – ის შეიძლება შეადაროთ ხელოვნების ნიმუშს, რომელიც მხოლოდ ერთი ეგზემპლარის სახით არსებობს. ასეთი მცენარე მფლობელის კარგ გემოვნებაზე მეტყველებს და თანაც, მისი ცხოვრების ეკოლოგიურ სტილზე მიანიშნებს.

ხეების გადარგვის ოპერაცია რამდენიმე ეტაპისგან შედგება. Green Integritys-ის წარმომადგენლები და კლიენტები მთელ ფლორიდაში ათვალიერებენ კერძო ბაღებს და თუ რომელიმე მცენარე მოეწონათ, მის მფლობელს საკმაოდ დიდ თანხას სთავაზობენ. მათ შეთავაზებას ხშირად სიამოვნებით თანხმდებიან, ზოგჯერ კი მილიონადაც კი არ ყიდიან, თუკი წინაპრების დარგული ხე, ოჯახურ რელიქვიად მიაჩნიათ. ზოგიერთი მდიდარი კლიენტი წლობით ეძებს სასურველ, "ოცნების ხეს". ერთი ლოს-ანჯელესელი, 18 თვის განმავლობაში "ნადირობდა" და შედეგად, 150-წლიანი ზეთისხილის ხე, ტოსკანადან ამერიკაში ჩაიტანა. მთლიანობაში, ეს ოპერაცია 57 ათასი დოლარი დაუჯდა, თუმცა მისი 65-მილიონიანი სახლისთვის, ეს დიდი ხარჯი არ ყოფილა. დღესდღეობით, ყველაზე მოთხოვნად ხეებს შორისაა პალმა, წაბლი, ბაობაბი და განსაკუთრებით, ბენგალური ფიკუსი.

მზის ენერგიას ლუდზე უცვლიან

ავსტრალიურმა ლუდსახარშმა კომპანიამ – Solar Exchange, ახალი პროექტი აამოქმედა, რომელიც ამ ქარვისფერი სასმელის მოყვარულებს საშუალებას აძლევს, საკუთარი ჭარბი მზის ენერგია ლუდზე გადაცვალონ, რომელსაც შინ მიართმევენ. გაცვლითი პროგრამა მზის ენერგიის – Diamond Energy და Power Ledger კომპანიებთან პარტნიორობით შეიმუშავეს. ლუდსახარში იმედოვნებს, რომ 2025 წლისთვის, წარმოება მთლიანად, 100%-ით აღდგენად ელექტროენერგიაზე გადაიყვანოს და დაეხმაროს ავსტრალიელებს, მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენონ მზის ენერგია, ამ ინოვაციური პროგრამის დახმარებით.

პრემიერი პირბადის არქონის გამო დააჯარიმეს

ტაილანდის მინისტრთა კაბინეტის მეთაური, პრაიუტ ჩან-ოჩუ 190 დოლარით იმის გამო დააჯარიმეს, რომ მან შეხვედრა პირბადის გარეშე ჩაატარა. ამის დამადასტურებელი ფოტო პრემიერმა თავად გამოაქვეყნა Facebook-ის საკუთარ გვერდზე. თუმცა შეიტყო რა დაჯარიმების შესახებ, პოსტი მალევე წაშალა. კორონავირუსით დაინფიცირების შემთხვევების ზრდის გამო, ტაილანდის 48 პროვინციაში, დამცავი ნიღბის ტარება სავალდებულოა, როგორც დახურულ შენობებში, ასევე, ღია სივრცეშიც. კანონდამრღვევებს 640 დოლარამდე ჯარიმა ელით. დღემდე ამ აზიურ სამეფოში, კოვიდით დაინფიცირების 60 000 შემთხვევაზე მეტია დაფიქსირებული, 165 კი ლეტალური შემთხვევაა.

ვაქცინის ნაცვლად, მარილიანი წყლით აცრეს

საფრანგეთში, ქალაქ ეპერნში, 140 ადამიანი ამერიკული ვაქცინა Pfizer-ის ნაცვლად, მარილიანი ხსნარით აცრეს. საბედნიერიდ, არავინ დაზარალებულა. ვაქცინაციის ცენტრში, სადაც ასეთი შეცდომა დაფიქსირდა, მომხდარზე მხოლოდ მეორე დილით შეიტყვეს. თანამშრომლები მაშინვე დაუკავშირდნენ "ვაქცინირებულებს" და ფიზიოლოგიური ხსნარის ნაცვლად, მათ ნამდვილი ვაქცინა გაუკეთეს. ჯერჯერობით, ქვეყნის ხელმძღვანელობას არ გამოუქვეყნებია ამ შეცდომის მიზეზები, თუმცა აღნიშნავენ, რომ გამოძიება ჩაატარეს, ვაქცინაციის ცენტრში კი, უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით, დამატებით თანამშრომელი მიავლინეს.

ნაჩუქარი ბილეთით ნახევარი მილიონი მოიგო

ამერიკელმა ელიზაბეტ კოკერ-ნამმა, დაბადების დღეზე, დაგვიანებულ საჩუქრად, ძმისგან მომენტალური ლატარიის – Virginia Lottery ბილეთი მიიღო. რამდენიმე კვირით, ქალს გადაავიწყდა კიდეც ეს საჩუქარი და როცა ძმამ დაურეკა, მხოლოდ მაშინღა გაახსენდა. სასწრაფოდ ბილეთი აიღო და ტელეფონზე ლაპარკის პარალელურად, მისი გადაფხეკა დაიწყო. ელიზაბეტმა მოულოდნელობისგან ყვირილი დაიწყო, როცა დაინახა, რომ ნახევარი მილიონი დოლარი მოიგო. ტელეფონის მეორე მხარეს კი გახარებული ძმა აყვირდა. მოგვიანებით აღიარა კიდეც, რომ მცოდნოდა, მომგებიანი ბილეთი იყო, ჩემთვის დავიტოვებდიო. გახარებული და კი ძმას დაბადების დღეზე განსაკუთრებულ საჩუქარს დაჰპირდა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.